140
1970

# 2
# 1970



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

# ჩემი საქართველო



**მარი აბრამიშვილი**

თებერვალი როცა დგება,
მალღლ მთაზე გადმოდგება
და გაზაფხულს ეგებება
ჩემი საქართველო.

თებერვალი როცა დგება,
თოვლი იყოს — თოვლიც დნება,
წითლად ღუის და ნათდება
ჩემი საქართველო.

მაღალ დროშებს აშრიალებს,
გააჩაღებს ცაში ალებს
და სიხარულს მაზიარებს
ჩემი საქართველო.

ძლიერია, მაღალია,
ძველია და ახალია,
შვებით მღერის რახანია
ჩემი საქართველო.

სიყვარულის მგოსანია,
ფრთები აქვს და ფრთოსანია,
ორგზის ორდენოსანია
ჩემი საქართველო.

თოთხმეტი ძმის ძმობილია,
თებერვალში შობილია
და გმირების მშობელია
ჩემი საქართველო.

ყველას ხიბლავს სიდიადით,
პატარაა? დიდი არი,
მეგობრობის ხიდი არი
ჩემი საქართველო.

თებერვალი როცა დგება,
მაღალ მთაზე გადმოდგება
და გაზაფხულს ეგებება
ჩემი საქართველო.

განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობს სკოლის კედლის გაზეთის რედკოლეგია. ეს ნომერი ხომ საგანგებოა, ბელადის იუბილეს ეძღვნება...

100



# ლენინური ოცნების გზებზე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

2 · თებერვალი · 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავი. ამ დიდმა იუბილემ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ახალი ძალითა და ხალისით შემართა პიონერები, რომელთა სახელოვანი ორგანიზაცია თავისი შინაარსიანი შრომითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალ-ახალი მასალებით ამდიდრებენ პიონერები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სტენდს!

სწავლით ყოველ ნაბიჯზე ამართლებს ბელადის საპატიო სახელს.

ნორჩი ლენინელები განსაკუთრებული გულმხურვალებით ელიან აპრილის მოსვლას, როცა გაზაფხულის იმ ნათელ და მზიან დღეებში საბჭოთა ქვეყანამ დიდი ლენინის სიცოცხლის უკვდავება უნდა იზეიმოს.

ამიტომ გააქვთ მძლედ დაგა-დუგი დაზგებსა და მანქანებს, ამიტომ ბარაქიანობს კოლმეურნის მარჯვენა, ამიტომ მუყაითობენ უფროსების მხარდამხარ პიონერული რაზმეულები...

ქართველი პიონერები ლენინური ორწლედის გზებზე მოპოვებულ ყველა წარმატებას სწავლასა თუ შრომაში, სასოებით უძღვნიან ბელადის უკვდავ ხსოვნას, მის დიდ იუბილეს!

თუ როგორ ილვწიან ჩვენი პიონერები ლენინური ორწლედის გზებზე, ამის გასაგებად ვეწვიოთ თუნდაც ა/კ რკინიგზის ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის პიონერთა ორგანიზაციას...

საკმარისია ამ სკოლის პიონერთა ოთახს თვალი შეავლოთ, რომ დაულოცოთ ამ მოსწავლეებს სკოლა, ოჯახი, და მასწავლებელი. მათ ყოველ ნაფიქრსა და ნახელავში დიდი სინაზე და სიყვარულია ჩაქსოვილი. პიონერებს ვ. ი. ლენინის საიუბილეო ალბომი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსებით დაუმშვენებიათ. გამოუფენიათ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სურათების რეპროდუქციები. მეორე კუთხეში კი, ლენინის ბიბლიოთეკა მოუწყვიათ.

რომ არაფერი დაგვრჩეს უთქმელი, სჯობს ამბავი ლენინური ორწლედის ვალდებულებათა განხილვით დავიწყოთ. პიონერებს თითოეული ვალდებულება ცალ-ცალკე ილუსტრაციით დაუმშვენებიათ და კედელზე ერთმანეთის მიყოლებით ჩამოუკიდიათ.

თქმა არ უნდა, პიონერის უპირველესი ამოცანა კარგი სწავლაა! სიტყვა სიტყვად რომ არ დარჩენოდათ, მათ შექმნეს და აამოქმედეს ,,სასწრაფო დახმარების'' ეკიპაჟები, რომელთა მოვალეობაა მხარში ამოუდგნენ ყველა პიონერს, ვისაც კი სწავლაში რაიმე მიზეზით ხელი ემლება. შედეგი? — 60ა პიონერიდან 117 ხუთოსანია!

კარგ სწავლას თუ შრომა არ ავსებს, ისე ნაკლებია მისი ფასი. ამიტომ პიონერებმა ლენინური ორწლედის გზებზე შრომა საამაყო საქმედ აქციეს. პიონერთა ოთახის ღია ფანჯრიდან თვალნათლივ მოჩანს სკოლის გადაღმა სერზე გაშენებული ტყე-პარკი, გაუხარიათ ფიჭვის და ნაძვის ნერგებს, მწვანე ბუჩქებად ჩახვეულ ბზას. ნარგავებში გაკვალული, აგურის ფხვნილით მოკირწყლული ბილიკებიც მათი ნაოსტატარია...

საქმეს რა გამოლევს. თურმე ეს სკოლასთან მისასვლელი ლამაზი ქუჩაც ამათი მარჯვენით არის კეთილმოწყობილი. სულ ცოტა ხნით ადრე აქ, კარგ ამინდშიც კი, ტალახი ყოფილა. თავის ნებაზე მიშვებული რუ იქაურობას ატბორებდა. პიონერებმა წყალი ღარში გადააგდეს, ბორცვი გადაასწორეს და ასფალტი დააგეს. ერთ შეხედვად ღირს, ისეა მოსუფთავებული იქაურობა, მაგრამ პიონერებს ჯერ ბოლომდე არ მიუყვანიათ თავიანთი ჩანაფიქრი. განზრახული აქვთ, მაცხოვრებლების მხარეს ჩაყოლებული ღობე მოაწესრიგონ, მთელ სიგრძეზე დაფით დაფარონ და გმირი პიონერების სურათები გამოფინონ. ერთი სურვილიც აქვთ: უნდათ, რომ ამ ქუჩას პიონერის სახელი უწოდონ. ვფიქრობთ, ამაზე უარს არ ეტყვიან გამრჯე გოგონებსა და ბიჭუნებს, თუკი საქმეს ბოლომდე კარგად მიიყვანენ.

მთელ რაიონში სალაპარაკო გახდა ამ სკოლის პიონერების სიმარჯვე ჯართის, ასკილისა და მაკულატურის შეგროვებაში. ნუნუ ულუმბელაშვილის რაზმი მთელი მონდომებით მოქმედებდა, მაგრამ მათ არც სხვები ჩამორჩებოდნენ. ხუმრობა საქმე როდია, ამ სკოლის პიონერებმა თავიანთ წილად ორასი ტონა ჯართი შეაგროვეს, როცა მთელი რაიონის პიონერებს ასი ტონა უნდა შეეგროვებინათ. მაკულატურა, — ათი ტონა, ასკილი, — 800 კილოგრამი. აი, ქების მეტი რა გვეთქმის. ასეთი თავდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული შრომის ჯილდოდ კი უკეთესს ვერ ინატრებენ ხაშურელი პიონერები. მათი შეგროვილი ჯართით ახალი ელმავალი უნდა აიგოს!

ელმავალზე ფიქრი ბევრ ბიჭუნას არ ასვენებს. კიდევაც, რკინიგზელების შვილები არიან, მეელმავლობაზე ოცნებობენ. ალბათ ამის შედეგია მათი და სალოკომოტივო დეპოს მუშების მეგობრობა. პიონერებს ხშირად ნახავთ მათს საამქროებში. მუშები გულღიად ხვდებიან, შეჰყავთ ელმავალში, უხსნიან ყოველი ნაწილის მნიშვნელობას, აცნობენ რკინიგზელის რთულსა და პასუხსაგებ საქმიანობას.

უფროს მეგობრებს თავის მხრივ არც პიონერები რჩებიან ვალში, მათ მიერ მოწყობილი კონცერტები, საღამოები თუ სპორტული ღონისძიებები დეპოს მუშების შრომას კიდევ უფრო ახალისებს და ალამაზებს. ლოკომოტივის დეპომ მადლობის ნიშნად სკოლის რაზმეულის აქტივი თავისი ხარჯით სოხუმში წაიყვანა ექსკურსიაზე.

ლენინური ორწლედის ვალდებულებათა შორის თავისი ადგილი უჭირავს ქალაქისა და სოფლის სკოლების მეგობრობას. მეგობრული გული პიონერის ნიშანთვისებაა და, აბა, ამაში ვინ აჯობებთ მათ? ამ სკოლის პიონერები მეგობრობენ სოფელ ოსიაურის რვაწლიან სკოლასთან — მოსავლის აღების დროს ხან რაზე წაახმარეს ხელი, ხან რაზე... საიუბილეო დღისათვის კი, 22 აპრილს ისინი სკოლას საჩუქრად გადასცემენ მრავალფეროვან ბიბლიოთეკას, რომლისთვისაც მხატვრული ლიტერატურის შეგროვება ჯერ კიდევ გრძელდება...

თუ რაოდენ სითბოსა და მზრუნველობას იჩენენ პიონერები თავიანთი უმცროსი მეგობრების მიმართ, ამას კარგად გრძნობენ ა/კ. რკინიგზის ხაშურის № 94 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ძვირფას მოგონებად დარჩათ პატარებს საახალწლო ზეიმი, რომელიც მეორე რაზმის პიონერებმა მოუწყეს.

პიონერთა ოთახთან სხვადასხვა წრეებია ჩამოყალიბებული: ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელთა წრე, რომელსაც X კლასის მოსწავლე ნათელა მურჯიკნელი ხელმძღვანელობს, ჩვენი ლენინური კომკავშირი. ამ წრის წევრები კომკავშირის ისტორიას სწავლობენ...

პიონერების ნაფიქრსა და ნახელავს ვერ იტევს მათი პატარა ოთახი და ნაწილი სკოლის დიდ დარბაზშიც გამოუფენიათ. „ლენინი ოქტომბრის რევოლუციის ბელადი", „კაცობრიობის გენია", „ულენინოდ, ლენინის გზით განვლილი სახელოვანი გზა" — ასე ეწოდება მთელი კედლის სიგრძეზე გამოფენილ სტენდებს, რომლებიც ჟურნალებში გამოქვეყნებული ილუსტრაციებით აუმეტყველებიათ.

დარბაზის მეორე მხარეს გამოკიდებულია უფროსი პიონერების ნაკეთები რუკა იმ ადგილებისა, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბელადი. ფაქიზად ამოუწვავთ ხეზე პიონერების უფროს მეგობრებს, კომკავშირელ გიორგი გელაშვილსა და თემურ ხარაზიშვილს „ნაძვის ხე სოკოლნიკში", „ლენინი ავრორაზე", „ვლადიმერ ულიანოვი—გიმნაზიელი" და ლენინის ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავი ეპიზოდები.

დარბაზის მთელ თაღზე გადაჭიმულია ტრანსპარანტი: „პიონერებო! მტკიცედ იარეთ ლენინური ორწლედის გზებით!"

მათს ყოველდღიურ სწავლასა და საქმიანობაში ისმის წკრიალა შეძახილი: „მზად ვართ! მტკიცედ ვივლით ლენინური ორწლედის გზებით!"

ლენინური გზა ხომ მშრომელი ხალხის სიკეთისა და ბედნიერების გზაა! და ეს გზა-სავალი არც დაელევათ ჩვენი დიადი ქვეყნის ნორჩ მშენებლებს.

**ქეთევან ჭილაშვილი.**

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა



სკოლას ეწვია ძველი ბოლშევიკი, საპატიო რკინიგზელი ალექსანდრე პაიჭაძე. საამბობელი არ დაელევა შრომის ვეტერანს, სმენად ქცეულან მისი ნორჩი მეგობრები...



ედუარდ სირმუსი ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი ვეტერანი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედება რევოლუციურ მუსიკას შესწირა.

# ჩემი შეხვედრა ლენინთან

**ე. სირმუსი**

**მხატვარი ო. ჩხარტიშვილი**

ბავშვობიდანვე ორი რამ მიტაცებდა: — ვიოლინო და პროლეტარული რევოლუცია. ეს ორი სწრაფვა ერთნაირი ძალით დამეუფლა, თუმცა ერთი ხელს უშლიდა მეორეს. და აი, შევხვდი ლენინს. ლენინმა ჩემი ეს ორივე გატაცება შერწყა და ნაყოფიერ შემოქმედებით გზაზე დამაყენა.

ეს ამბავი ასე მოხდა. პატარა ვიყავი, მამამ ვიოლინო რომ მიყიდა. ვიოლინო ესტონელებში ძალზე პოპულარული ინსტრუმენტია. გადავწყვიტე მევიოლინე გამოვსულიყავი. სწორედ იმ ხანად თვალი ამეხილა სოციალურ უსამართლობაზე, დავინახე როგორ იტანჯებოდა ესტონელი მშრომელი ხალხი გერმანელი ბარონების, მეფის მოხელეების, ბურჟუაზიისა და ბობოლების უღელქვეშ.

გავხდი სოციალისტი და გადავწყვიტე მებრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. მუშებს თვითმმართველობის დამხობისაკენ, ბურჟუაზიისა და თავადების მოსპობისაკენ მოვუწოდებდი. ამავე დროს არც ვიოლინოს ვივიწყებდი. დიდი სურვილი მქონდა კარგი მევიოლინე გამოვსულიყავი. ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გამომრიცხეს იურევის უნივერსიტეტიდან,[1] და გადავწყვიტე პეტერბურგში წასვლა, სადაც ვიოლინოს დაკვრა პროფესორ ლ. აუერთან უნდა მესწავლა.

პიტერში პირველად წავიკითხე „ისკრა", „რა ვაკეთოთ" და ა. შ. მარტო გატაცება ამ ლიტერატურით პატარა საქმე იყო, საჭირო იყო გამევრცელებინა კიდეც. დავამყარეთ კავშირი კრონშტადტის მეზღვაურებთან. ჯაშუშებმა გამოააშკარავეს ეს კავშირი. 1913 წლის ზაფხულში დამაპატიმრეს და პეტერბურგის წინასწარ მისჯილთა ციხეში ჩამსვეს შპალერზე.

მიჭირდა უვიოლინოდ გაძლება. ციხის უფროსებს ვეხვეწებოდი უხმო, მუნჯი ვიოლინო მომეცით, თორემ თავს მოვიკლავ მეთქი. თხოვნა შემისრულეს. იმდენი დავუკარი, ლამის თითები მოვიმტვრიე.

1905 და 1906 წლებში მთლიანად რევოლუციას[2] ვემსახურე. სულ არ დამიკრავს. 1905 წლის ბოლოს პირველად მომეცა ბედნიერება, საკუთარი თვალით მეხილა და მესაუბრა რევოლუციის უდიდეს სულისჩამდგმელთან — ლენინთან. ლენინი პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში აგრარულ საკითხზე მოხსენებას კითხულობდა.

ლენინი ძალზე უბრალოდ ლაპარაკობდა. რა შედარება იყო ესერებთან და მენშევიკებთან... მეორედ ლენინი ჰელსინგფორსში ვნახე, 1907 წელს ვ. მ. სმირნოვის ბინაში. სმირნოვი ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო, ბოლშევიკებს დიდად თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა დამალვასა და საზღვარგარეთ გასვლაში. ლენინს ბნელ დერეფანში შევხვდი. ძლივს ვიცანი.

— ლენინს ადვილად ვერ იცნობ, — იცინოდა სმირნოვი, — იმიტომ, რომ ის უფრო ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავს, ვიდრე ისეთ რევოლუციონერს, როგორსაც ჯაშუშები წარმოიდგენენ. ძალიან შევწუხდი, რომ ლენინს ვერ გამოველაპარაკე. შევეკითხებოდი როგორ მოვქცეულიყავი. ფინეთში ყოფნისას მე ისევ გატაცებით დავიწყე ვიოლინოს დაკვრა. თან სინდისი მქენჯნიდა, ასე მეგონა რევოლუციას ვღალატობდი. სულიერად ძალიან ვიტანჯებოდი. მაგრამ ვიოლინომ მძლია და კონცერტებზე გამოსვლა დავიწყე. ამ კონცერტებს ფინელი ამხანაგები აწყობდნენ. მალე ამხანაგებმა ფინეთიდან წასვლა მირჩიეს, მეფის პოლიცია გაფაციცებით მეძებდა.

და აი, 1907 წლის ბოლოს ფინეთის პასპორტით შვეციაში გავემგზავრე, შემდეგ — ნორვეგიაში.

გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, ყველგან, სადაც კი ვიყავი, კონცერტებზე გამოვდიოდი, რომელსაც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები აწყობდნენ. ვუკრავდი რუსულ რევოლუციურ სიმღერებს და მეფის ციხეში შექმნილ საკუთარ ფანტაზიებს. ჩემზე წერდნენ, რუსი ხალხის ტანჯვა-ვაებას მუსიკის ენით გამოსთქვამსო და „მწუხარების მევიოლინე" მიწოდეს. ჩემთვის აუცილებელი იყო სწავლის გაგრძელება. მაგრამ მქონდა კი ამის მორალური უფლება, როცა რევოლუციისათვის თავდადებული ჩემი ამხანაგები ან ჩამოხრჩობილნი იყვნენ, ანდა ციხეში ისხდნენ? როცა მუშებს სიბნელეში ამოსდიოდათ სული? ვერც ლუნაჩარსკიმ, და ვერც გორკიმ, რომელიც კაპრზე ვინახულე ვერ გადამიჭრეს ეს საკითხი.

1909 წლის ბოლოს პარიზში ჩამოვედი. გავიგე ლენინი პარიზში იყო. ჩემი ცოლი იდა, პარტიის ლონდონის ყრილობის დელეგატი იყო და პირადად იცნობდა ლენინს. გადავწყვიტეთ მოგვეძებნა. გავიგეთ მისამართი და ვეწვიეთ. ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, პარკ მონსურის მახლობლად. სამწუხაროდ, შინ არც ლენინი დაგვიხვდა და არც კრუპსკაია. გავოცდით, ბინაში არავითარი ავეჯი არ იდგა, თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ემიგრანტთა შორის.

მალე, ერთ-ერთი კრების მერე, შესაძლებლობა მომეცა ლენინთან გასაუბრებისა. მივედი და ვუთხარი:

— ამხანაგო ლენინ, მირჩიეთ რა გზას დავადგე, მე ბოლშევიკი ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს ვიოლინო. მაქვს თუ არა უფლება დავუკრა?

ლენინი ჩაფიქრდა და მითხრა:

— ამის უფლება გაქვთ, თუ კი ბოლშევიკი-მევიოლინე იქნებით. მუსიკა დიდი ძალაა, ის ჩვენი მიზნებისათვის, კლასობრივი ბრძოლისათვის უნდა გამოვიყენოთ. თქვენ, როგორც ბოლშევიკმა აგიტატორმა, თავად უნდა იცოდეთ როგორ გამოიყენოთ ვიოლინო, როგორც საგიტაციო ინსტრუმენტი.

ლენინის ნათქვამმა ძალზე გამახარა. მაშ, მე მორალური უფლება მქონდა ვიოლინოს დაკვრა მესწავლა... ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა შევიტყე, რომ პარიზის კომუნარების ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე, რომელიც ემიგრანტთა კოლონიაში ჩავატარე, მსმენელთა შორის ამხანაგი ლენინიც ყოფილა (სულ ბოლო რიგში, კუთხეში!). უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როცა ამხანაგმა ვიქტორმა (ამხ. ტარატუტა) მამცნო, ლენინის წინადადებით უნდა დაგეხმარო, რათა ერთხანს პარიზში ისწავლოო.

1912 წელს ლენინი გზად ბერლინში შეჩერდა. როგორც ამხანაგებმა გადმომცეს, ლენინს შეეტყო, ჰოლან-

---

1. „...1901 წელს იურევის უნივერსიტეტში შევედი. მუშებში ესტონურ ენაზე პროკლამაციებს ვავრცელებდი. საქმიან მონაწილეობას ვიღებდი სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. 1902. წ. სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გამრიცხეს.

(ე. სირმუსი. ავტობიოგრაფია. ცენტრალური პარტიული არქივი).

2. „1905 წ. ვმუშაობდი პეტერბურგში ესტონელ მუშებს შორის. პეტერბურგის ბოლშევიკების კომიტეტში იმათი წარმომადგენელი ვიყავი; დავაარსე ესტონური გაზეთი „ედაზი" — პეტერბურგის ბოლშევიკების კომიტეტის ორგანო. გაზეთის დახურვის შემდეგ, გადავედი იატაკქვეშა მუშაობაზე. ვიყავი აგიტატორად, მებრძოლად...

დიელი სოციალისტების დახმარებით სახელგანთქმულ მევიოლინე მარტოსთან რომ ვსწავლობდი და ძალიან გახარებია ჩემი წინსვლა. რა ადამიანური, რა კაცი იყო ლენინი!..

1913 წლიდან 1916 წლამდე პროფესორ კაპეს დახმარებით პარიზში ვსწავლობდი. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოვნახე ის მეთოდი, თუ როგორ უნდა მემსახურა ვიოლინოთი პროლეტარული რევოლუციისათვის.

1918-1919 წლებში ინგლისში (ინტერვენციის დროს) ჩემს კონცერტებზე პროგრამის ბოლოს ინგლისელების საყვარელ ხალხურ სიმღერას ვუკრავდი და ვეუბნებოდი: — თქვენ აქ მუსიკით ტკბებით, მაგრამ იცით სად არიან ახლა თქვენი ქმრები და ძმები? ისინი მურმანსკისა და არხანგელსკის თოვლიან მთებში ხოცავენ საბჭოთის მუშებსა და გლეხებს და თვითონაც იღუპებიან. მათ ხომ ინგლისისათვის არასოდეს არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ. და აი სევდიან სიმღერას რომ ვუკრავ, ამით თანავუგრძნობ თქვენს მამებსა და ში-




ლამარა გვაზავა-სანაძე

მხატვარი
ჯემალ ლოლუა


# ჩრდილოეთის ციალი

მოთხრობა

კარელამ კარვის გაშლა დაიწყო. ჩვენც ვეხმარებოდით. ქარი ცდილობს ხელი შეგვიშალოს, მაგრამ მოხუც მეთევზესთან ვერაფერს ხდება. მას ყველაფერი წინდაწინ აქვს მოფიქრებულ-მომზადებული. ნაჯახი, პალოები, პაწია ღუმელი და ხმელი ფიჩხის კონებიც. მიწაზე ტყაპუჭები დავაფინეთ და ღუმელი ავანთეთ. პაპამ გაფიჩხებული მფრინავი შემოიყვანა და თოკი შეუხსნა. კარავი კვამლით ივსება. ჩაიდანში თოვლი დნება. პაპას ბეწვის სარჩულიან ჯუბაზე თოკი აქვს შემოჭერილი, ზედ ალუმინის წყვილი ტოლჩა ჰკიდია.

— ესენი ხელყუმბარები მეგონა, — ჩამჩურჩულა ანატოლიმ და ეშმაკურად გაიღიმა. „კარელა პაპამ ალბათ არც იცის ყუმბარის სროლა", — ვიფიქრე მე.

— ახლა ყუმბარას ეს ჭურჭელი სჯობს, — თვალს მიკრავს ანატოლი და ტკაცუნა კვარზე ხელებს ითბობს.

ადუღებული წყალი სულმოუთქმელად შევხვრიპეთ.

ის იყო ძვალ-რბილი გავითბე, რომ პაპამ ტყვეს ტყავის ხელთათმანიან მაჯებზე კვლავ გადაუჭირა თოკი და მარხილზე დასვა. როცა მარტონი დავრჩით, უბიდან დალუქული კონვერტი ამოიღო და ტოლიას გადასცა.

— მდინარეს გადასცურავ, მეორე ნაპირზე ჩვენები არიან. დანარჩენი შენ იცი, დანაც წაიღე, აი ესეც. — და მან პლანშეტი, რაცია და ყურსაცვამი გაუწოდა.

გული ამიჩქროლდა.

— პაპა, ჩვენ?

— ჩვენ უკან დავბრუნდებით, თომაზო.

ლამის ავტირდი.

— მეც წავალ ტოლიასთან, — შევევედრე.

— რომ წახვალ, ორმარხილიანად მარტო უნდა დამტოვო? — ისე საწყლად თქვა, რომ გული დამეწვა.

ისევ დაიძრა ჩვენი მარხილები. ისევ დაიწყო ბორცვები, ჩირგვები, იდუმალებით მოცული თეთრი ტრამალი. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კარელამ მარხილი შეაჩერა. ირგვლივ მიაყურადა, იქაურობა დაზვერა და მარხილიდან რეზინის ნავი გადმოიღო, გაბერა, ნიჩბები მოარგო.

ტყვეს მოუსვენრობა დაეტყო, მაგრამ კარელა პაპამ უბრძანა: ხმა არ დასძრა, თუ სიცოცხლე გინდაო.

დადგა გამოთხოვების ბოლო წუთი. ანატოლი გადამეხვია.

— შენი წილი ფაშისტიც ჩემზეა, ძმობილო, მათთან ვალში არ დავრჩები... არც თქვენთან დავრჩები ვალში. — კარელა პაპასაც გადაეხვია.

მარხილები ნაპირს მიუახლოვდნენ. მოხუცი ფონს ეძებს და სიბნელეში ჩაინთქა, შემდეგ ისევ ამოვიდა და ტყვე ზურგზე მოიკიდა. ანატოლიმ ნავი წაათრია. ყველაფერი ეს სწრაფად და უხმაუროდ გაკეთდა. სიცივისა და შიშისაგან მა-

დასასრული. იხ. „პიონერი" № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს. რომლებიც შორეულ რუსეთში ესალმებიან სიცოცხლეს.

ეს სიტყვები და მუსიკა დიდ გავლენას ახდენდა. მუშები მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთიდან ინგლისელთა ჯარის დაბრუნებას. მე კი დამაპატიმრეს, როგორც ბოლშევიკი-აგიტატორი. ბურჟუაზიული პრესა ბრალს მდებდა, რომ მე ბოლშევიკური აგიტაციისათვის ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის მუსიკას ვიყენებდი. 1923 წელს ჩამსვეს პრუსიის ციხეში, 1929 და 1932 წლებში საქსონიის ციხეში, მერე ესტონეთის ციხეში...

ლენინის სიკვდილის ამბავი ჰოლანდიის პატარა სადგურზე შევიტყე. ავტირდი. „ულენინოდ როგორ უნდა ვიცხოვროთ?..“ და აი, როცა ახლა იმ ნაწარმოებებს ვუკრავ, რომლებიც ერთ დროს ლენინისთვის დავუკარი პარიზის კომუნარების ხსოვნის პატივსაცემად, მე მოვუწოდებ საბჭოთა ახალგაზრდობას ისეთი იყოს, როგორიც ლენინი იყო და პატიოსნად აშენოს სოციალიზმი.

თარგმნა ქ. ცერცვაძემ.

---

ძიგძიგებს. მეზღვაურის ბედი მშურს. სადაც არის იგი ჩვენებთან აღმოჩნდება. სამი წლის ტყვეობისა და ტანჯვის შემდეგ ეს ნამდვილი ბედნიერებაა. მზერა დავძაბე. შორეთს შედედებული ნისლი და სიბნელე ფარავს. არც პაპა ჩანს. მარტოობის შიშმა ლამის დამჯაბნოს. თავის გასამხნევებლად ირმის დათრთვილულ ზურგს ხელი გადავუსვი. ირმები ფხვიერ თოვლში კვლავ ფლოქვებს აფხაკუნებენ.

მოხუცი კარგა მოგვიანებით დაბრუნდა.

— ახლა წავიდეთ, თომაზო. — ალერსიანად მითხრა და მარხილი მოაბრუნა. კარელა პაპა კარგ გუნებაზე იყო.

●

შინ მშვიდობით დავბრუნდით. ჯერ კიდევ ბნელოდა და ძლიერი ქარი წინანდებურად ღმუოდა. ევა დეიდა კარებში შემოგვეგება. მასაც მთელი ღამე არ სძინებია. არაქათგამოცლილი შევლასლასდი ოთახში და სკივრზე დავვარდი. ევა დეიდამ გახევებული სახე მალამოთი დამიზილა, ცხელი ჩაი დამალევინა და დამაწვინა. ძალიან ცოტა ხანს მეძინა, კარელა პაპამ უთენია გამაღვიძა.

— ადექი, თომაზო, ჩვენს საქმეს კვალი უნდა წავუშალოთ, — ჩამძახა ძილ-ბურანში. მეგონა, ძვალი და რბილი დაშლილი მქონდა, მაგრამ მოხუცს ნათქვამს მივუხვდი და უცებ გამოვფხიზლდი.

— აჰა, ხიზილალა, ჯანზე მოგიყვანს, — დამიყვავა კარელამ.

სამუშაოზე ორივე მარხილით ჩეულებრივად გავედით. მოხუცი თავდაპირველად კომენდანტს ეახლა და ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ამბავი მოახსენა. უცებ ატყდა ერთი ორომტრიალი, დაუწყეს მფრინავს ძებნა ქოხებში, ჯარის ნაწილებში, ზღვის ნაპირებზე, ზღვაში, მაგრამ კვალს ვერსად წააწყდნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ალბათ პარაშუტიანად ქარმა ზღვაში გაიტაცაო, დაასკვნეს ბოლოს.

თანდათან ყველაფერი ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. ოკუპირებულ დაბაში ფაშისტები ბატონობენ და ჩვენ დღედაღამ მათთვის ვმუშაობთ, მაგრამ ისინი მაინც ცივად, ქედმაღლურად გვიმზერენ. კარელა პაპამ თავისი საქმე ჩინებულად იცის და კომენდანტიც კმაყოფილი ჰყავს. მეთევზეების ავ სიტყვას კი აინუნშიც არ აგდებს.

— თომაზო, ახლავე გაქანდი ციპ-ნავოლოკში და კომენდანტს გაუყინავი თართი მოართვი!

— თომაზო, წადი ბაზაში და კომენდანტის ლაქიას ანთრაციტი მოუტანე!

— თომაზო, მინერალური წყალი ეამა კომენდანტს და, აბა, ჰე, გაფრინდი პეტსამოში!

და მეც ფეხმარდი ირემივით დავრბივარ აღმა-დაღმა. დავრბივარ უსიტყვოდ, რადგან ვიცი ეს ასეა საჭირო, მაგრამ ერთხელ მაინც ვერ მოვითმინე:

— კარელა პაპა, იმ ბოროტ კაცს კიდევ დიდხანს უნდა ვუზიდოთ თევზეული და ხიზილალა?

— ჰო, ჯერ კიდევ უნდა ვუზიდოთ, — მითხრა ფიქრიანად. მისი სიტყვების მიღმა სანუგეშო რამ შევიცანი. უცებ ანატოლი მომაგონდა და გული სიამაყის გრძნობით ამევსო. „დღეს მეც საჭირო კაცი ვარ, ჩემი ქვეყნისათვის მეც გავაკეთე რაღაც“. — ვესაუბრებოდი ჩემს თავს. მეზღვაურის სიტყვებიც გულზე მეფონება: „შენი წილი ფაშისტი ჩემზეაო“. მჯერა, ტოლია თავის ნათქვამს შეასრულებს.

წინათ დაბაში გერმანელი ჯარისკაცების ტევა არ იყო, ახლა კი თითქოს ყველანი სადღაც გადაიხვეწნენ. ნეტავ რას მოასწავებს მათი წასვლა? ეს ალბათ კომენდანტმა იცის, ამ შხამიანმა და გულღრძო კაცმა, რომელიც ჯერ კიდევ აქაა. ტყვე მეზღვაურებმა თქვეს: სულ ორიოდე დღის წინ ნიკელის საბადოებში მან თავისი ხელით სამი ტყვე ჯარისკაცი დახვრიტაო. ასეთი რამ აქ არც უცხოა და არც გასაკვირი, მაგრამ კარელა პაპას ეს ცნობა მაინც ემცხეთა და სახე მოუქურუხდა.

ჩვენს ზონას იმიერპოლარეთი ეწოდება. აქ ზამთარი გრძელია და მრისხანე. ყინვებისაგან დამსკდარ ნაძვებს ტოტები ჩამოყრილი აქვთ უღონოდ. კლდეებიც იშლება ყინვებისაგან, ხოლო ალმასნათესი ტუნდრა მარხილებით იფარცხება. ზოგჯერ ლაჟვარდივით ხასხასებს ცის დიდი გუმბათი, ხშირად კი მთელი სამყარო ნისლშია ჩაძირული.

ჩრდილოეთს თავისი კანონები აქვს. ამ კანონებს ბუნება აქ თვითონ წერს, თვითონვე ამტკიცებს.

საერთოდ, პოლარეთი მეტად ჭირვეულია და ხუშტურიც თავისებური უყვარს. თუ კოპები შეიკრა? — მაშინ ფრთხილად! მთელი თავისი მრისხანებით თავზე დაგატყდება.

ზოგჯერ იცინის ჩრდილოეთი. იცინის და თავსაც გაწონებს, სასწაულებით გხიბლავს. პოლარული ციალი, — ეს ბუნების ჯადოსნობაა. მისი მზერით ვერ გაძღები.

ჩრდილოეთის ციალი! — უკიდეგანო ცაზე ფერთა დიდი ზეიმი, ნაირფერადი მაშხალებისა და ლიფლიფების ცეკვა, ლიცლიცი... ამდენი ფერით აფეთქებული ცა მხოლოდ ჩრდილოეთშია. მაღლა, ეჰეე, ძალიან მაღლა, დიდი ხანძარი გიზგიზებს. ეს აზვინულ-აალებული გუმბათი კიდევ უფრო მაღლდება, თითქოსდა ზეატყორცნილი, ათასფერადი ჭავლებითა და ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებით იხატება. ფერთა ჭავლები ერთმანეთს ერწყმის, ედუღება, შუშხუნებად იფრქვევა და ახალი, უჩვეულო ფერი იქმნება, ბუნებაში ჯერ არნახული ფერი. შემდეგ ამ ფერებისაგან უცნაური ფარდები იქსოვება, ცაშივე ირწევა, იძენძება, ძირს ეშვება და მოლურჯო-მოყვითალო კაშკაშა ნაყში შემოექარგება.

ფარდა ეშვება და ციალი თანდათან ფერმკრთალდება, შემდეგ კი სრულიად კვდება...

დღეს ანთრაციტის მოსატანად გვიან გამგზავნეს, ეს ის დრო იყო, როცა ჩრდილოეთის ციალი იწყებოდა. ვიხილე რაღაც საოცრად დიდებული სანახაობა, რომლის მსგავსიც მანამდე არ მენახა.

შინ გაბრუებული დავბრუნდი. მარხილი გადახურულთან დავაყენე. მეგონა ბატონის ლაქიას მეორე დილით წავუღებდით ანთრაციტს, მაგრამ კარელა პაპა ჩაცმულ-დახურული დამხვდა. მას საქმე მოთავებული უყვარს, თან ღამით სიარულის უფლებაც აქვს და მარხილი მოაბრუნა, თვითონ ისურვა წაღება, მაგრამ მე, ნანახით აღელვებულს, სახლში ყოფნა არა მსურს და თავადაც მივყვები.

— ამას ჩვენ სპოლოხს ვეძახით, — მითხრა კარელა პაპამ ჩრდილოეთის ციალზე.

მე კვლავ ცას ავცქერი. ამჯერად ნარინჯისფრად შეიღება ცის დასალიერი, ოქროსფერი მიესადაგა ქობასავით, შემდეგ ეს ფერი თანდათანობით გაიცრიცა, ბაც ყვითელში გადავიდა და სიგრძეზე გაწოლილი ცისარტყელა გამოჩნდა.

— დიდი ყინვა იქნება, — თქვა მოხუცმა და ჯოხი ირმების ზურგს ნელა შეახო.

ციდან ისევ დაეშვა ფარდები, გასაოცრად ლამაზი ფარდები, ნაოჭებიანი, იისფრად, წითლად, ყვითლად მოჩითულ-მოვარაყებული.

ამასობაში ჩვენი მარხილი კომენდანტის ხიმეშემოვლებულ ეზოს მიადგა. კარელა პაპამ ჭიშკარი გააღო. კარი მინახვეტი თოვლით გააჩერა. შემდეგ ბეჭებზე ბრეზენტის ნაჭერი გადაიფარა და ანთრაციტით სავსე ტომარა ზურგზე მოიგდო. ამ დროს ციდან ისევ გადმოიღვარა შუქი და ეზოს სიღრმეში ადამიანის ჩრდილი შევნიშნე.

— ვინ მოდის? — მკაცრად იკითხა ჩრდილმა.

— ანთრაციტი მომაქვს, ბატონო კომენდანტო, — მიუგო კარელა პაპამ. ცაზე კი ისევ გრძელდება სასწაული. კაშკაშა სხივები ძნებად იკვრება, ისევ იფანტება და ზოლებად ლაგდება.

კომენდანტი თავაწეული დგას. კარელა პაპა სწრაფად მობრუნდა. აგერ, შავ სილუეტს გაუპირისპირდა და უცებ ზმუილის მაგვარი ხმა გაისმა, შემდეგ ბილიკზე რაღაც აფხაკუნდა. ელდა მეცა. ყველაფერს მივხვდი და კარელა პაპასკენ გავქანდი. იგი თითქმის მოგუდულ კომენდანტს მოათრევდა. გერმანელს ფეხებში ჩავაფრინდი და ჰაერში ავიტაცე. როგორც იქნა, კუტი კარი გამოვატარეთ და გაწკეპილმა ფაშისტმა მარხილზე ბრაგვანი მოადინა. აქ მან დრო იხელთა და მთელი ძალით გაიბრძოლა, მაგრამ კარელამ პირი ჩვრით გამოუტენა და ისე ჩაბღუჯა, როგორც დასაკლავი ცხოველი.

მარხილი ჯერ მთავარ ქუჩაზე გაქანდა, შემდეგ ბნელ შუკაში შევუხვიეთ. წუთი საუკუნედ მეჩვენებოდა. ცა კვლავ გაკაშკაშდა და თოვლით დაფენილ რიბაჩოვოს სინათლე მოჰფინა. გული გამეყინა. ღმერთმა დაგვიფაროს და, პატრულს რომ გადავეყაროთ, ჩვენი საქმეც წასულია და მთელი დაბის მეთევზეებისაც.

შინამდე კარგა მანძილია და ჩვენ ჭალისაკენ გავედით. აქ ტომრების გადასაჭერი თოკი მომთხოვა კარელამ. კომენდანტის გაკოჭვა დავიწყეთ. გერმანელმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ხელები გადავუგრიხეთ, რევოლვერი ამოვართვით, ფეხები შევუკარით.

— კომენდანტ კაპუტ! — ხუმრობის გუნებაზეც ვარ. თოვლში ამოგანგლული ფაშისტი კი მარხილზე გდია და ზედ თევზის ტომარა ახურავს. მისი რევოლვერი მე მიდევს ჯიბეში და ჩემი თავი შეიარაღებული ჯარისკაცი მგონია. ყველაზე უფრო კი ის მიხარია, რომ დაუძინებელი მტერი ფეხქვეშ გვყავს დაგდებული...

როგორც იქნა, შინ მივაღწიეთ. გათოკილი ტყვე სახლში შევათრიეთ.

— ჩქარა ბუჟასთან! — მოკლედ ბრძანა მოხუცმა. მეც მარხილი სწრაფად მოვაბრუნე. უცებ კარელამ აზრი შეიცვალა, — მე თვითონ წავალო.

შებორკილ ტყვესთან მარტო დავრჩი. თავის გასამხნევებლად იარაღი მოვისინჯე, თუმცა სროლა არ ვიცი. გარეთ ბაიბური არ ისმის. ტყვე სიცოცხლის ნიშანწყალს არ იძლევა. ,,იქნებ გაიგუდა?“ — გამკრა გულში. ფარანი მივანათე. ისედაც მიწისფრად გადატეტკილ სახეს მიცვალებულის ფერი დასდებოდა, პირიდან ჩვარი გამოვუღე. ჩვენებისათვის არის საჭირო მისი სიცოცხლე და ამიტომ ვუფრთხილდები, თორემ სულიც გაძრობია!

,,აწი ნახე ცოდვა-მადლის განკითხვის ძალა! — ნიშნს ვუგებ ფიქრით. — ეჰ, რამდენი თართი და ქვირითი ვუზიდე! მაგრამ ხომ ამოდინდა ყველაფერი შხამად!“ უცებ ფაჩუნი მომესმა და აყროლებული ჭინჭი ,,არიელ“ კომენდანტს ისევ პირში ჩავუტენე. ფაჩუნი ფრუტუნად იქცა და მეც გარეთ გავვარდი.

— რატომ, დაგიგვიანდათ, პაპავ?

— საქმე მქონდა, — მომიგდო სიტყვა და თვალებს არ ვუჯერი: გადახურულთან ირმებშებმული სამი მარხილი დგას. აქვეა ანდრია ბუჟაც. კარელა პაპამ ევა დეიდასთან ამგზავნა. დარაბებდახურულ ოთახში ლამპა ანთია, იატაკზე ყრია ყუთები, ტომრები, შეკრული ფუთა, ირმის ტყავები, ნავთქურა და ჩაიდანი. დავიწყეთ მარხილების დატვირთვა. ევა დეიდამ სახლი გამოკეტა. კარელა პაპამ ირგვლივ მიმოიხედა, პირჯვარი გადაიწერა და გზას გავუდექით.

ცივი ღამეა. ცა მოკრიალებულია, სამი მარხილი კი მიჰქრის. შორიდან მოტორის ზუზუნი ისმის. ჩვენ ვუგანეთ და გავინაბეთ. ჩაგვიქროლა ორმა მანქანამ, მერე ორმა მოტოციკლმა. მარხილებმა გზა ტრამალებზე განაგრძეს. მივდივართ წვალებით, რწმენითა და იმედით. ახლა ყველაფერი ერთ ნებას, ერთ სურვილს ემორჩილება, ეს არის ტყვეობიდან თავის დაღწევის უძლეველი წადილი. ტუნდრა დუმს. აქ არ იგრძნობა ომის მრისხანე გრგვინვა. მაღლიდან ცივად დაგვყურებს პოლარული ვარსკვლავი. ვინ იცის რას გვპირდება!

დიუნებზე სიარული გაძნელდა და კვლავ შარაზე გავედით. სხვაგვარად არც შეიძლება, წინ მდინარე ტიპოვკა ვეშაპივით გაწოლილა. ახლა პატრულებით დაცულ ხიდზე მოგვიწევს გავლა. მფრინავი ტყვე რომ მოგვყავდა, მაშინ ქარიშხალმა გადმოგვაფარა თავისი ფრთები, ავი თვალისაგან დაგვიცვა, მაგრამ დღეს?

მოხუცებმა შაშხანები შეამოწმეს. გულმა ხმაურს უმატა. შლაგბაუმი დაკეტილია და კარელა პაპა პირდაპირ ჯიხურში შევიდა. გუშაგს მაგიდაზე ხიზილალა, თევზის კონსერვი და შავი დღისათვის გადანახული ფრანგული კონიაკი დაუდგა,

— წინა ხაზზე სურსათი მიგვაქვს, — მტკიცეა და გაუბზარავი მებადურის ხმა. ძილ-ბურანში მყოფი გუშაგი კონიაკს ესიყვარულება და შლაგბაუმიც თავს მაღლა წევს. ფონს გასული გვგონია თავი, მაგრამ ხიფათი ახლა იწყება თურმე.

ხიდის ბოლოში გზა კვლავ გადაკეტილი დაგვხვდა. ჯიხურში აწოწილი გერმანელი დგას. კარელა წინდახედულია და აქაც საქმის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობს, მაგრამ ფაშისტი ჯიუტი გამოდგა, მაინდამაინც ბრეზენტში შეხვეულ კომენდანტს დაასო თვალი და მისი გასინჯვა მოიწადინა.

— აი, ეს გასინჯე, გირჩევ, — ლმობიერად უთხრა მებადურმა და არყიანი ბოთლი გაუწოდა. იმ ბრიყვმა ბატონკაცურად ხელი ჰკრა საჩუქარსაც, მის პატრონსაც და მარხილისაკენ გაიწია. ბუჟამ ჩახმახზე შეაყენა შაშხანა. კარელა პაპა ბუღასავით ეძგერა გერმანელს, ფეხქვეშ მოიგდო, მარცხენა ხელით პირი მოუმუწა, მარჯვენათი დანა ჩასცა მუცელში. შემდეგ ხელში აიტაცა და ტიპოვკაში გადაისროლა. ეს ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. ვიდრე გონს მოვიდოდით, გზა უკვე ხსნილი იყო.

შუაღამე გადასული იყო, დასავლეთ ლიცას რომ მივადექით. მივადექით იქ, სადაც ათიოდე დღის წინათ მისი ბო-

ბოქარი ტალღები ასე მშვიდობიანად გადაცურა მეზღვაურმა.

მებადურებმა რეზინის ნავი გამართეს და კომენდანტს ბრეზენტი შემოხსნეს.

დავიწყეთ მდინარეზე გადასასვლელად მზადება. მძლავრი მდინარის ნაპირი ლელითაა დაფარული. ხმაურობს, იღრინება ლიცა.

პოლარული ვარსკვლავი თან გამოგვყოლია და ისევ თავზე დაგვყურებს ცივად, მედიდურად... პირქარი კი სახეს გვისუსხავს და ამონასუნთქი ჰაერი ნისლის ბოლქვებად გროვდება.

დამშვრალი ირმები ფლოქვებით საჭმელს ეძებენ, მაგრამ აქ არაა იაგელის ძებნის დრო. კიდევ ცოტაც და, გაღმა მონახავენ საკვებს.

მოხუცები ფუსფუსებენ. მე ვღელავ. ევა დეიდაც ღელავს. ჩვენ უკვე თავისუფლების ზღურბლთან ვდგავართ, მხოლოდ ერთი გაბედული ნაბიჯი და ჩვენს ტანჯვასაც დასასრული დაუდგება. მაგრამ ჯერ ვერა ვგრძნობ კარს მომდგარი ბედნიერების სიტკბოს, რადგან ამ ერთი ხელის გაწვდენაზე უფრო მეტი ხიფათი გველის, ვიდრე მთელ გამოვლილ გზაზე. ამ შუაღამეს მოყვარესაც შეიძლება მტრად მოვეჩვენოთ. ავტომატის ერთი ჯერი და მორჩა, ლიცა ქოჩორზე მოგვიგდებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ უფონო, უნაპირო მდინარეში ირმების გადაყვანა არ გინდა? კარელა პაპა თავს მოიკლავს და ირმებს მტერს არ დაუტოვებს.

— ოჰ, ღმერთო! — აღაპყრო თვალები ევა დეიდამ და ნავში ჩავსხედით. აქვე წევს შეკოჭილი გერმანელიც. ნაპირზე ირემ-მარხილებიანად ანდრია ბუჟა დარჩა, იგი ჩვენს მიერ გაკვალულ გზას გამოჰყვება. და აი, აჰა, ეს გზაც გაკვალულია, ლიცა დაძლეულია! უკვე მის მარჯვენა კბოდეს მივადექით. კარელა პაპა ვიღაცას ეძახის, ელექტროფარანს ორჯერ თვალიც კი დააპაჭუნებინა. ხმა არავინ გაგვცა. მაშინ დინებას გავყევით და გადასასვლელად შესაფერის ალაგას ნავი შევაჩერეთ. მე ნაპირზე გადავხტი. გადავხტი ალალბედზე და უცებ წელამდე ჭაობში აღმოვჩნდი. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არაა და ნავი მთელი ძალით ნაპირისაკენ მოვქაჩე, სწორედ ამ დროს ფოლადივით ცივი ხმა გაისმა:

— ხელები მაღლა!

სიმწრით გამოთრეული ნავი ისევ დინებისთვის უნდა მიმეცა, მაგრამ კარელა პაპამ ომახიანად ამოსძახა:

— თქვენიანები ვართ, ტყვე კომენდანტი მოგვყავს, მოგვეშველენით!

•

ღამე ფრონტისპირა ბლინდაჟში გავათიეთ. სველი ტანსაცმელი ცეცხლზე გავაშრე და გამხმარ ხავსზე მივწექი. მკვდარივით ჩამეძინა. მგონი ასე ტკბილად არასოდეს მძინებია. მხოლოდ განთიადზე გამომეღვიძა.

— ამიერიდან იმედი მაქვს, ჩემს ტაისას ხმას მივაწვდენ,







— ევა დეიდამ სამი წლის უთქმელი დარდი პირველად ამოთქვა თავისუფლად.

ანდრია ბუჟა ცისკრის ლოცვას წარმოსთქვამს და პირჯვარს იწერს. მხოლოდ კარელა პაპა არის წინანდებურად სიტყვაძვირი, დაღლა დასჩნევია, ამ ერთ ღამეში მოტეხილა კიდეც.

— სიკვდილს გამოქცეული კაცი სადღაა? — მეზღვაური იკითხა.

— იმ ტყვე მფრინავთან ერთად მურმანსკში გავგზავნეთ, იქ შეხვდებით, — უპასუხეს.

სულ მალე, ორი ჯარისკაცის თანხლებით მურმანსკის გზას დავადექით. შტაბში რიბაჩოვოზე ცნობები აინტერესებდათ, კომენდანტი კი უმალვე წაუყვანიათ.

წინამძღოლ ირმებს კი კვლავ ჩამოჰკიდეს ეჟვნები, კარელა პაპას თან რომ წამოუღია, ამიტომაც, კაიურის მარხილი ეჟვნების ჟღარუნ-წკარუნით მიგვიძღვება. მეც გამართული ვდგავარ მარხილზე. ახლა იარაღის სროლაც უნდა ვისწავლო, რომ ჩემს წილ ფაშისტებს თვითონვე გავუსწორდე. ტოლიას ვალს აღარ დავიდებ.

აქ თოვლი უფრო ღრმაა, ცივი ქარიც მწარედ იკბინება, ჩემს გულში კი ჩიტები მღერიან, ზოგჯერ მავიწყდება კიდეც, რომ ომი ჯერ არ დამთავრებულა. თუმცა ომს ხშირად გვახსენებენ მზვერავი თვითმფრინავები. ზოგჯერ ბომბდამშენებიც შემოაღწევენ ხოლმე და მაშინ ჰაერში ცხარე ბრძოლა იმართება.

●

მურმანსკი სამი წლის წინათ სულ სხვაგვარი ვნახე, დღეს ის პირქუში, მრისხანე და ბრძოლისათვის შემართულია, ბევრი ჭრილობა ამჩნევია, მაგრამ დაძაბუნება არ ეტყობა.

უფროსებმა თავაზიანად მიგვიღეს.

— თქვენს კარგ კაცობაზე ხმა აქ მოგვწვდა, ამხანაგო მორისოვ. ყოჩაღ, მოხუცო! — გენერალმა ძველ მებადურს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— ამხანაგო უფროსო, ამ ყმაწვილის სიკარგეზე არაფერი გაგიგიათ? ეს ბიჭი ყველა საქმეში პირველია, — კარელა პაპამ თავის წინ დამაყენა. გენერალმა მეც ტოლსწორივით გამომიწოდა ხელი.

— ესენიც ჩემი თანაშემწეები იყვნენ, — კარელა პაპამ ახლა ანდრია ბუჟა და თავისი რძალი წარუდგინა.

ბევრი რამ გვკითხეს რიბაჩოვოზე. სათქმელი ჩვენც

გვქონდა. შემდეგ გვითხრეს, საბრძოლო ჯილდოებზე ხართ წარდგენილიო.

გენერალმა მხარზე ხელი დამადო, სადაურობა მკითხა. ვუპასუხე.

— ჩვენთან, კორპუსის სამედიცინო სამსახურის უფროსი ქართველია — პოლკოვნიკი კობეშავიძე, მის განკარგულებაში გაგგზავნით. დავით ანდრიას ძეს მარხილებით აღჭურვილი მეომრები ახლა ოქროდ უღირს, — თქვა გენერალმა და კობეშავიძეს იქვე ტელეფონით დაუკავშირდა.

კაბინეტში სიწყნარეა. მემბრანაში ისმის დინჯი, დაბალი ხმა. მე სიამაყით და სიხარულით მევსება გული, ამ ქვეყნის დასალიერში ესოდენ დაფასებული და სახელოვანი ქართველი რომ ყოფილა.

...მედიცინის პოლკოვნიკ კობეშავიძესთან ოთხივენი შევედით. მიწისქვეშა, საკმაოდ ხალვათსა და თბილ ბლინდაჟში ხალხი ბლომად დაგვიხვდა. მე კი თვალით ქართველ კაცს ვეძებდი; სახით, იერით, გარეგნობით ალბათ ათას უცხოში გამოვარჩევდი დავით კობეშავიძეს. სულ მალე ჩვენებური თავაზითა და ღიმილით შემოგვეგება სახეკეთილი კაცი.

მან ჩვენზე უკვე ყველაფერი იცოდა და ვაჟკაცობა გვიქო.

როგორ შეეჩვიე აქაურობას? — მკითხა ქართულად. ლამის ავტირდი, სათქმელი გამეფანტა. მინდოდა რაღაც მეკითხა მამაჩემზე, საქართველოზე, ომზე... მაგრამ მღელვარებისაგან ენა დამება...

საუბარი მალე დამთავრდა. კორპუსი დიდი ბრძოლის წინ იდგა თურმე და ჩვენთან სამუსაიფოდ ვისღა ეცალა?!

სამთო-სათხილამურო მსროლელი კორპუსი საბრძოლო მზადყოფნაში იყო და იერიშის დაწყების ბრძანებას ელოდა. ჩვენ ამ კორპუსის სამედიცინო სამსახურში სანიტრებად ჩაგვრიცხეს. ჯერ ბრძოლები არაა, მაგრამ ვინ გაძლევს მშვიდად ყოფნის საშუალებას? თითქოს ქვესკნელიდან გამოტყვრებიან შავჯვრებიანი ბომბდამშენები და ატყდება ერთი ალიაქოთი.

პორტში უზარმაზარი სახაზო გემი ბუღასავით თოკითაა დაბმული. ამბობენ, გერმანელი ბომბდამშენები სწორედ ამ გემს ემტერებიანო, მაგრამ თურმე ბევრმა მოიტეხა კისერი.

ქალაქის სადგურზე გავედი. უეცრად, ვიღაც ოფიცერი გადამეხვია. შეცბუნებულმა ავხედე და... ანატოლი არ შემრჩა ხელში!.. ენით ვერ ავწერ ჩემს სიხარულს. მოვიკითხეთ ერთმანეთი. შემდეგ ტოლიამ მკითხა, არ გინდა ახალი ტანკების გადმოცლას უყუროო? მინდა-მეთქი, მივუგე და ბაქანზე გავედით.

ამხელა ტანკები ჯერ არ მენახა. მინდოდა, ხელი შემეხო მათთვის, შიგაც ჩამეხედა, მაგრამ აბა, ვინ მიმიშვებდა!..

მე რომ მკითხოთ, ომში ყველაზე მამაცი ტანკისტი გახლავთ. არ გინდა ამოდენა მანქანის ძიგძიგ-დგრიალში მტერსაც გაუმკლავდე და ჭანჭრობებშიც გზა იპოვნო? ანატოლი მარწმუნებს, ეს გოლიათები ყველგან გაივლიანო, მაგრამ აქაურ ტუნდრაში მე რომ ჭაობები მინახავს, იქ ამ რკინის რაშებსაც გაუჭირდებათ გავლა.

ანატოლი ქვეითთა სამარშო ქვეგანაყოფში ოცეულის მეთაური ყოფილა. დაჭღნარ-გახუნებულ, ზოლებიან მაისურს უბეში ინახავს მოწიწებით, ისევე, როგორც მე ვინახავ პიონერულ ყელსახვევს. მოსწავლის მოწმობა და პიონერული ყელსახვევი ცხვირსახოცში მაქვს შეხვეული და შიდა ჯიბეში მიდევს.

ანატოლიმ მიამბო, ტყვე მფრინავის დალუქულმა პაკეტმა დიდი საქმე გაგვიკეთაო. კონვერტში გენერალ დიგენის საიდუმლო ბრძანება ყოფილა, ნიკელის საბადოების გამაგრებისა და დაცვისათვის საჭირო მითითებებით. არც ტყვე მფრინავს დაუკლია ხელი. — თავისიანები პირწმინდად გასთქვა თურმე.

მოსაღამოვდა. ტოლია თავის ნაწილში წავიდა. მეც გაკვეთილზე მიმეჩქარება. მოყინვის პროფილაქტიკის საკითხებს გვასწავლიან. „მოყინვის შემთხვევაში დაჭრილს ადგილზევე უნდა გაუწიოთ დახმარებაო“. დახმარებას ცოდნა უნდა და ვსწავლობთ კიდეც.

კარელა პაპამ მარხილების შეკეთება დაიწყო. უცვლის მოცვეთილ მანჭვალებს, აახლებს თოკებს, აკერებს ღვედებს... ასე იწურება კიდევ ერთი დღე.

•

აი, ყველაფერი შემოწმებულია, ათასჯერ გადასინჯული, აწონილ-დაწონილი. მარხილებიც დატვირთულია. ჩვენი ქორბუდა „ცხენები“ საოცრად ღონივრები არიან, სწრაფებიც. მათ ტუნდრაზე უნდა გაატარონ საკაცეებით, ბრეზენტის კარვებით, თივთიკისა და შალის საბნებით, საძილე ტომრებით, ქიმიური სათბურებითა და სხვა ათასი საჭირო საგნით დატვირთული მარხილები. ირმები და მარხილები კი აქ ძალიან ბევრია. ამ მძიმე ალალს წინ გაუძღვება კბილებამდე შეიარაღებული ჯარი. თვითეულ ჯარისკაცს, ამუნიციასთან ერთად, თან მიაქვს შესახვევი პაკეტები, პანტოციდის აბები და ათი დღის საზრდო.

— ნეტავ რა საჭიროა ასეთი მარაგი?! — მიკვირს მე.

— მტრის ზურგში მოგვიწევს ბრძოლა. იქ, ხელგაშლილ მასპინძლად არ დაგვიხვდებიან, — მიპასუხეს ძუნწად.

და, აჰა, დიდი იერიშის დაწყების ხმამ ჩუმი ნიავივით გადაუარა კორპუსს, არმიას. დღის ბოლოს საგულდაგულოდ შენიღბულმა ლაშქარმა ფრონტის ხაზი გადალახა და საჭირო მიმართულებით აიღო გეზი. ეს ჩვენების პირველი გამარჯვებაა. ახლა საჭიროა, რაც შეიძლება ღრმად შეაღწიონ მტრის განლაგებაში და ლუოსტარ-პეტსამოს მაგისტრალი გადაჭრან. მაშინ ორ ცეცხლში მოქცეულ მოწინააღმდეგეს ნორვეგიისკენ გასაქცევი წაერთმევა, ხოლო პეტსამოდან ნიკელის საბადოებისაკენ პირდაპირი გზა რომ მიემართება — ამ გზით წამოვლენ მძიმე ტანკები. აი, მაშინ ნახონ ფაშისტებმა თავიანთი წირვის გამოსვლა!

ამ უზარმაზარი ლაშქრის მიზანი ჩემთვისაც ნათელია და უკვე ბრმასავით არ მივყვები მებრძოლებს. თუ ამ ბრძოლას გადავურჩი, მაშინ სამშობლოში დაბრუნებულს მეც მექნება სათქმელი და თავმოსაწონი. ჩემს გვერდით მოდიან კარელა პაპა, ევა დეიდა, ანდრია ბუჟა...

მეორე დღეს თოვლიან ველზე ჩვენი კვალი მტრის მზვერავმა თვითმფრინავმა დალანდა და უცებ მონასტერიც აირია. ცას მოედვნენ სვასტიკიანი ბომბდამშენები. ჩვენს თავზე ყუმბარების ნიაღვარი წამოვიდა. ცეცხლით დაისეტყვა და შავ ორმოებად დაითხარა თეთრი ტუნდრა. ამასობაში ჩვენი გამანადგურებლებიც გამოჩნდნენ და გაიმართა ჰაერში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. აბრიალდნენ, ახრჩოლდნენ, შავი კუდით ჰაერი გახაზეს და ცეცხლის ბოლქვებით მიწა მოჩითეს „ჰეინკელებმა“.

შვებით ამოვისუნთქეთ და კვლავ წინ გავსწიეთ. მაგრამ გონს მოსულმა მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა გზა გადაგვიღობა. გაიმართა ბრძოლა. აქუხდნენ ქვემეხები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შემდეგ ამას ხიშტების უმოწყალო ჭახა-ჭუხი მოჰყვა და მგრგვინავი „ვაშათი“ მტრის წინა ხაზი გადაიჭრა. ლუოსტარში ფაშისტებს აეროდრომიც წაართვეს. ახლა რაც შეიძლება სწრაფად — ნიკელის საბადოებისაკენ... და კვლავ გახურდა ბრძოლა. ახმაურდნენ „ომის ღმერთები“ და მძიმე ტანკები. ბრძოლის ველზე ცოდვის კევრი დატრიალდა. ცეცხლის ხაზიდან მოშორებით, ბრეზენტის კარვებში ლანცეტები ამუშავდა...

ტყვიების კორიანტელში მივხოხავ, გადავრბივარ, ისევ მივხოხავ და დაჭრილ მებრძოლებს ვშველი. მთელ ძალ-ღო-

ნეს ვბაძავ, ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამომყავს, მარხილზე ფრთხილად ვაწვენ და ირმები მთელი სისწრაფით მიჰქრიან ბრეზენტის კარვებისაკენ, იქ არის დავით კობეშავიძე. მას ასი თვალი აქვს და ასი ყური. იგი კარავიდან კარავში გადადის, ყველაფერს ამოწმებს. დოლბანდით პირაკრული დასტაქრები საოპერაციო მაგიდებთან დგანან და სტეარინის სანთლის მოცახცახე შუქზე კეთდება ოპერაცია...

ამ ორომტრიალში ზოგჯერ ჩემიანებსაც ვხვდები, ისინი ჩაუმუხლავად შრომობენ. ახლაც, ჩემი მარხილი წინა ხაზისაკენ რომ გაქანდა, შორიდან კარელა პაპას ზურგს მოვკარი თვალი. სადაცაა უნდა დავეწიო, მაგრამ ცაზე ,,ჰეინკელები‘‘



გამოჩნდნენ. მაშინვე მარხილი მეჩხერ წიწვნარს შევუხამე, აქეთ უკვე ტყეები იწყება და თავშესაფარიც მეტი გვაქვს. ასიოდე მეტრზე გაჩერდა კარელაც, ირმები ბუჩქთან დააყენა. უცებ აზანზარდა ცა და მიწა, ჩამობნელდა ქვეყანა. ოციოდე მეტრზე დავარდა ყუმბარა და მძლავრმა ტალღამ ბუმბულივით ამიტაცა. გონს ჩქარა მოვედი, ირგვლივ მიმოვიხედე, მზერა კარელა პაპასკენ გამექცა და უცებ თავზარდაცემული წამოვვარდი.

— კარელა პაპა!.. კარელა პაპა! — ყვირილით გავქანდი მისკენ. იგი პირაღმა წევს და თავისი ჭკვიანი თვალებით მიყურებს.

— რა გტკივა, კარელა პაპა! — ჩავძახე და იქვე ჩავიჩოქე. იგი ხმას არ მცემს. ენა აქვს წართმეული. მისი ორი ირემიც იქვე გდია მკვდარი. სასწრაფოდ ჩემი მარხილი მოვიყვანე, მოხუცი ზედ დავაწვინე და ირმები კარვისაკენ გაფრინდნენ.

— მიშველეთ... მძიმედ დაჭრილი მოვიყვანე, — ვყვირი მოთმინებადაკარგული. კარვიდან გამოდიან თეთრხალათიანები და პაპა კარელა შიგ შეჰყავთ.

— იხსენით კარელა პაპა! — შევღაღადე აცრემლებულმა. მაგრამ ყველაფერი ამაოდ, კარელა პაპა ცოცხალი აღარ იყო.

სამი წლის განმავლობაში ქვეყნის ჭირი და სატკივარი ბევრი ვიწვნიე, თავს დატეხილი უბედურების სიმძიმე კი მხოლოდ დღეს ვიგრძენი. ასე მგონია, ცა ჩამოიქცა და ქვეყნად უპატრონოდ დავრჩი.

მაგრამ ტირილისა და გლოვის დრო აღარაა. ბექობზე სამარე გავთხარეთ და ირმის ტყავში გახვეული მოხუცი ფრთხილად ჩავუშვით.

— აქ, საძმო საფლავებს შორის, სადაც გმირთა სახელები უკვდავებასავით იცოცხლებენ, შენი პატიოსანი სახელიც იცოცხლებს, კარელა პაპა! — ახალაზვინულ საფლავს ფიქრში ვესაუბრები და ისევ დაჭრილებისაკენ მივიჩქარი.

დადგა ნანატრი დღე. სამთო-მსროლელმა კორპუსმა, ნიკელის საბადოთა გამაგრებული ზღუდეები ჩრდილოეთიდან შეანგრია და ქალაქს დაეპატრონა. ეს საბადო ჩრდილოეთის ბოლო მიჯნაა, ბოლო სიმაგრე, სადაც ასე დიდხანს პარპაშებდნენ და საიდანაც ამიერიდან მოისპო ,,ედელვაისთა‘‘ სახსენებელი... შორეულ ჩრდილოეთში ომი დამთავრდა.

მურმანსკში გვიან ღამე შევდივართ. თოვს... ქარი ქრის... გამარჯვების სიხარულით გამთბარ ქალაქს არ სძინავს... დიდი და პატარა გარეთაა გამოფენილი. ყველგან სიცილია და ისმის სიმღერა... ეს ჩამოჩონჩხილი სახლებიც გამარჯვებული ქალაქის ენით მეტყველებენ. სატკივარი და ცრემლი თითქოს დავიწყებულია. ქალაქი სამი წლის ტანჯვის საზღაურად მიღებული სიხარულით ტკბება.

კობეშავიძე გიბარებსო, — მითხრეს. მიწაზე ფეხს არ ვაკარებ, გავრბივარ თავქუდმოგლეჯილი. ვიცი, პოლკოვნიკი ტყუილუბრალოდ არ დამიძახებდა.

ასფალტგადაჩიჩქნილ გზებზე ცასა და ბარს მიანგრევენ მძიმე ტანკები. ალბათ სადგურისაკენ მიიჩქარიან. აქ მათ უკვე არაფერი ესაქმებათ და მიდიან... საბურავებზე შემოხვეული ჯაჭვების ჩხარუნით დაჰქრიან ,,ვილისები‘‘...

პოლკოვნიკი იღიმება. მისი ღიმილიც განსაკუთრებულია დღეს.

— წახვალ შინ? — მხრებზე ორივე ხელი მომითათუნა.

სახეში შევყურებ. თითქოს მესმის მისი სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ ეს მიუწვდომლად მესახება. აქედან ძალიან შორსაა ჩემი სახლი...

— სანიტარულ მატარებელს გაჰყვები საქართველოში. საბუთებს გიმზადებენ. — მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მაგრამ... ,,ევა დეიდა?‘‘ — ფიქრით გავეპასუხე. არ ვიცი, გავბედო თუ...

— შტაბში ორი მედალი გაქვს მისაღები, ახლავე წადი, — ფართოდ იღიმება პოლკოვნიკი.

— ევა დეიდა? ცოდოა! — გავბედე.

— ვინ არის ევა დეიდა?! — გაოცდა პოლკოვნიკი. მეც უხერხულად ვიმშუშნები.



— მას შვილი ჩვენთან ჰყავს, საქართველოში, აქ სულ მარტოდ არის.

— ჰო, კარგი, გაჰყვეს მატარებელს, ვრთავ ნებას, — თქვა უყოყმანოდ და ევა მორისოვასათვის საბუთების გამზადება ბრძანა.

სიხარულმა ენა წამართვა. საჭიროა მადლობის სიტყვებით გამოხატვა. მაგრამ თუ ვთქვი, უთუოდ ავტირდები. და მეც თავდაკარგულივით გარეთ გავვარდი. სადაა შტაბი? სადაა ევა დეიდა? და გავრბივარ, გავრბივარ...

...ევა დეიდა ფაციფუცით ემზადება და სიხარულისაგან ტირის... სულ მალე ორივენი სადგურისკენ მივეშურებით.

სათადარიგო ლიანდაგზე ძალზე გრძელი შემადგენლობა დგას. ვაგონებში საკაცეებით შეჰყავთ დაჭრილები. ერთ-ერთ ვაგონში მე და ევა დეიდაც ავდივართ...

ძილსა და ღვიძილში სანატრელი დედა და ბებიაც ჩემს გვერდით მგონია. ორთქლმავალი მაახლოებს ამდენი ხნის მიტოვებულ სკოლასა და ამხანაგებს. ამიტომ მიყვარს ეს შავკუპრა ორთქლმავალი, ქშენა-ფრუტუნით რომ მიარღვევს სივრცეს, ამიტომ მიყვარს გაზინთულჯუბიანი მემანქანე და სახეგამურული თანაშემწე. მიყვარს ყველა და ყველაფერი — მე დღეს ჩემს სათაყვანო საქართველოში ვბრუნდები...

# საქართველო

ტექსტი მორის ფოცხიშვილისა

მუსიკა ზურაბ ნინოშვილისა

ანა-ბანა, ანა-ბანა,  
სიხარულმა ამიტანა,  
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა  
სადღა აღარ წამიყვანა.

მთაში ჩანჩქერები ვნახე,  
ბარში ია-ვარდის ყანა.  
ეს პატარა საქართველო  
რა ყოფილა ამისთანა!



მურმან ლებანიძე

# რამდენი ჯაფა სჭირდება, რამდენი ოფლი ჯაგანს, რომელიც პაპამ შილდიდან ჩამოუტანა გაგას

ბიბლიოთეკა

თუმცა რქაწითლის ჯაგანი
ბიჭმა შესვლიპა წამში,
რაღა თქმა უნდა, რომ გაგა
გახლავთ ჭკვიანი ბავშვი;
სულაც არ გაჰკვირვებია,
უმალ მიმიხვდა მიზანს,
და გულისყურით მისმენს
ამბავს ვაზის და ზვრისას.
ვუამბობ, რამდენს მოითხოვს
ვაზი ჯაფას და შრომას,
რამდენი ცოდნა სჭირდება
მეზვრეს და ვაზის ქომაგს,
რამდენი ჯაფა სჭირდება,
რამდენი ოფლი ჯაგანს,
რომელიც პაპამ შილდიდან
ჩამოუტანა გაგას...

1

მაშ, ასე! ვიწყებ მოთხრობას
მეზვრის და ქართულ ზვრისას:
უპირველესად შერჩევა
სჭირდება საზვრე მიწას!
მიწაც არის და მიწაცო,
ერთის არ გვარგებს სხვისთვის—
მშრალი ფერდობი სჯობია,
თანაც მზისგული ზვრისთვის!
ქართლ-კახეთსა და იმერეთს
თუმც ზვარი ყველგან ზვარობს,
ჩვენი ხუთასი ჯიშიდან
ყველგან სხვადასხვა გვარობს.
და ვაზსაც უნდა შერჩევა,—
ვიდრე დავუწყებთ ჩაყრას,
შერჩეულ მიწას სჭირდება
გადაბრუნება ახლად.
საზვრე ავზომეთ, ჩავზომეთ,
მწკრივად დავგეგმეთ შარში,
ვაზი ჩავყარეთ, ვახარეთ—
ვათენ-ვაღამებთ ზვარში.
თუმცა ჯერ ზვარი არ ეთქმის,
ახალშენია მარტო,
სამ წელს გარს უნდა ურბინო,











უნდა შვილივით ზარდო!
სამი წლის თავზე დაერქმის
ზვარი საფიცარ მიწას,
სამი წლის თავზე იძლევა
ის კურთხეული ნიშანს!
მაგრამ ეს დასაწყისია
ჯაფის და ოფლის ღვარის
და საქმე ახლა იწყება,
რაკილა გაჩნდა ზვარი!

2

თებერვალია, არ ისმის
ჯერ ჩამი-ჩუმიც მარტის,
ჯერ მიწა არც კი გამზრალა,
მეზვრე კი ზვარში დადის.
ვაზი გასხლული ჰქონია,
ახლა ამოწმებს ჭიგოს;
მავთულიც უნდა გაბმული
ჩანგის ლარივით იყოს!
სასუქი შეაქვს, მარტის თვეც
მოგვიხტებაო სწრაფად.
თებერვალშივე ეწყება
პაპა ღვთისავარს ჯაფა.
და ჰა, მარტია, ანთია
მზე საქართველოს ცაში,
ახალი წესით პაწია
ტრაქტორი შეჰყავს ზვარში.
ჯერ პაპა ღვთისოს ბიჭები
ზვარს მწკრივთა შორის ხნავენ—
პაპა გასთოხნის და ფხვიერს
ძირზე მიაყრის თანვე.
თელის ხრალს მოიმარაგებს,—
მარტშივე დაახვავებს,
რქას, სამამულედ გაშვებულს,
მავთულზე დააკავებს...
ამასობაში აპრილი
ზვრებს დაგვიმოსავს მწვანით,
მისდგება ვაზის მავნებლებს
მოხუცი ბორდოს ხსნარით.
აპრილს მოჰყვება მაისი,—
ლერწს დააჩიტებს თოთოს.

ჰა, შაბიამნით აცისფრებს
მეზვრე სანუკვარ ფოთოლს.
ზედმეტ ლერწს ფრთხილად შეაცლის,
როგორც იტყვიან, ფურჩნის,
გოგირდის სითხეს შეაფრქვევს,
ჭრაქ-ნაცარს ბუდეს უშლის.
გზის ნახევარი გავლილა,
და ცისფერ დღეთა დასით
დგება ნანატრი ივნისი—
ვაშა, ყვავილობს ვაზი!
კვლავ შაბიამანს ასხურებს,
კვლავ ცისა ფერად ბარდნის,
მეოთხედ წამლავს, მეხუთედ—
ივნის-ივლისი გადის.
საქმეს კი ბოლო არ უჩანს,—
ჩვილი ყრმა იყოს თითქოს,
ვაზი, ფერებას ჩვეული
ისევ ფერებას ითხოვს.
მეზვრესაც ვაზის ყვავილზე
ოცნება ასაზრდოებს...
და ზვარს, ცისკრისას შესული,
დაღამებისას სტოვებს.

3

აგვისტოს ბოლოს იწყებენ
წიფობელები გრუტუნს;
მეზვრე ორ კვირას ისვენებს,
დინჯად აბოლებს თუთუნს.
დაჩიტებულა ისრიმი,
ღვთისო გახედავს ისრიმს,
თივას გაიგებს, მიწვება
სადმე ჩეროში ზვრის პირს.
მაგრამ ვინა სთქვა სიმშვიდე
და მოსვენება მეზვრის!
დაესიზმრება სეტყვა და
წამოახტუნებს შეშლილს.
სიმშვიდე ირგვლივ ყოველთა
სიზმარს აქარწყლებს ცხადი:











«მწიფე-მწიფეო»—აგვისტოს
ცაში გრუტუნი დადის...
და ღვთისოც რთველზე ოცნებობს
თან ანგარიშობს გულში,
რა—საქართველოს მიართვას,
და რა—ჩაისხას ქვევრში.

4

დასრულდა ჩვენი მოთხრობა,
რაღა თქმა უნდა, სწრაფად,
იოლად ვყვები, ხუთ წუთში,
ლამის მთელი წლის ჯაფას.
გავხედე პაპა-შვილიშვილს,
ჩაფიქრებულან, ვხედავ;
პაპა კი ვიცი, რას ფიქრობს,
გაგა რას ფიქრობს ნეტავ?
სამივე ერთი ფიქრის ვართ,
სამივე ერთი აზრის,
სამივეს გვეამაყება
სიმხნე ქართველი კაცის.
მოდიან უცხო სტუმრები,
ჩვენს ქართულ ზვრებში დგანან:
— ვიშ, დაუსხამთო რარიგად,
ნეფე-პატარძლებს ჰგვანან!
რა მხარეაო, გახედე!—
ხოტბას ასხამენ მიწას,—
ხელუკულმა რომ ისროლო,
ლერწი იხარებს იმ წამს!
— ქედები გადამილახავს!—
ლამის ვიყვირო წყენით,—
მე მიწა ბევრი მინახავს
არანაკლები ჩვენის!
რისი მიწა და რა მიწა,
მიწას ოფლის ღვრა შვენის!
უმთავრესია მშრომელი,
მწიგნობარი და ბრძენი,
ჩვენი ქართველი გლეხკაცი
და მარჩენალი ჩვენი!

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.



# საბჭოთა არქიტექტურა

სიმონ კინწურაშვილი

წინა წერილში (იხ. „პიონერი“ № 1) ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ქართული საბჭოთა არქიტექტურა. ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის საბჭოური პერიოდის არქიტექტურისა და მთელი საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპები, თავისებურებანი სავსებით ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ არ გავიმეორებთ უკვე თქმულს. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე საუკეთესო, განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელი ნაგებობების შესახებ ვილაპარაკებთ და მათი საშუალებით თვალს გავადევნებთ საბჭოთა არქიტექტურის განვითარების საინტერესო გზას.

## ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმი

1924 წლის 23-24 იანვარს მთავრობის კომისიამ არქიტექტორ ალექსეი შჩუსევს დაავალა, ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს — 27 იანვარს, მოსკოვში, წითელ მოედანზე მზად ყოფილიყო მავზოლეუმის შენობა. სამდღენახევარში გადასაწყვეტი იყო საორგანიზაციო, მატერიალურ-ტექნიკური, სამშენებლო საკითხები და, კიდევ უფრო მოკლე დროში — რთული და სრულიად ახალი შემოქმედებითი ამოცანა. ერთ ღამეში დაიბადა მთავარი კომპოზიციური იდეა — შექმნილიყო საფეხურებიანი სილუეტი მონუმენტური ფორმებით, და იგი შემკული ყოფილიყო მხოლოდ ერთი აქცენტით — ყველასათვის გასაგები და ახლობელი წარწერით: „Ленин“.

დიდი ბელადის დაკრძალვის დღეს ხის, დროებითი მავზოლეუმი მზად იყო.

სულ მალე, საბჭოთა მეცნიერებმა მიაკვლიეს ვ. ი. ლენინის გვამის ხანგრძლივად შენახვის საშუალებას. ეს იყო პასუხი მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნისა — შთამომავლობისათვის შენახულიყო ბელადის სახე.

ა. შჩუსევმა ახალი დავალება მიიღო — აგებულიყო მავზოლეუმის ახალი, ხის ნაგებობა და მას მონუმენტური არქიტექტურულ-მხატვრული სახე მისცემოდა. 1924 წლის მაისში მავზოლეუმი მზად იყო, აგვისტოში კი იგი გაიხსნა ხალხის ფართო მასებისათვის. ეს დროებითი ნაგებობა ხუთი წლის განმავლობაში იდგა. მისი საერთო მხატვრული გადაწყვეტა იმდენად სწორად იყო მიგნებული და იმდენად გასაგები და ახლობელი გახდა ყველასათვის, რომ 1929 წელს, როცა გადაწყდა მუდმივი ნაგებობის აშენება, მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა, გრანიტში თითქმის უცვლელად შენახულიყო ხუროთმოძღვრის შთაგონებით შექმნილი იერი. მავზოლეუმისათვის გრანიტი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან იქნა მოზიდული. დამზადდა 1-დან 10-ტონამდე წონის ფილები, შავი ლაბრადორის ქვა — ლენინის სარკოფაგის პოსტამენტი — 20 ტონას იწონის, ხოლო მთავარ შესასვლელთან მოთავსებული ქვა, წარწერით: „Ленин“ — დამუშავებამდე 60 ტონას იწონიდა. ძალზე მაღალია მშენებლობის ხარისხი.

1930 წლის ოქტომბერში მუდმივი მავზოლეუმის მშენებლობა დამთავრდა.

მავზოლეუმი შეიქმნა საბჭოთა არქიტექტურის განვითარების პირველ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა მშრომელებისათვის გასაგები მხატვრული, თუ ხუროთმოძღვრული გამოსახვის საშუალებათა ძიება. ამ ხანებში ბევრი ფორმალისტური, მტრული გადახვევები იყო, რომლებიც აფერხებდნენ სოციალისტური არქიტექტურის განვითარებას. მით უფრო მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ ამ პერიოდში შეიქმნა საბჭოთა ხუროთმოძღვრების ისეთი შედევრი, როგორიც არის ლენინის მავზოლეუმი. იგი იყო გვირგვინი იმ ძიებებით აღსავსე წლებისა, როდესაც ქვეყანას, მართალია, ეკონომიურად ძალზე უჭირდა, მაგრამ ახალი, საბჭოური განუხრელად იკვლევდა გზას.

ალექსეი შჩუსევი (1873—1949 წ.წ.) გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორი იყო. მისი პროექტებით შეიქმნა ბევრი მნიშვნელოვანი ნაგებობა — ყაზანის ვოგზალი მოსკოვში, თეატრი ტაშკენტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა თბილისში და სხვ. მაგრამ მისი შემოქმედების მწვერვალად ლენინის მავზოლეუმი ითვლება.

ხუროთმოძღვრის წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა — კრემლისა და წითელი მოედნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ანსამბლში ჩაეწერა ახალი ეპოქის შესატყვისი ნაგებობა და, ამავე დროს, არა თუ არ დაერღვია ეს ანსამბლი, არამედ ახალი ჟღერადობა მიეცა მისთვის. აი, დააკვირდით, როგორ მიაღწია ამას. მან მავზოლეუმი დააყენა მოედნის ორი მთავარი ღერძის გადაკვეთაზე: პირველი — განივი ღერძისა, რომელიც გადის მოედნის შუაზე და გრძელდება კრემლის კედლის სენატის კოშკზე და უმაღლესი საბჭოს გუმბათზე, და მეორე — გრძივი ღერძისა, რომელიც მოედნის მთავარი ხედვითი ღერძია და კრემლის კედელს, ე. ი. მოედნის მთავარ ფასადს მიჰყვება. შეიცვალა მოედნის პროფილიც — იგი ამაღლდა ცენტრთან და მავზოლეუმი ყველაზე მაღალ წერტილზე აღმოჩნდა. მინინისა და პოჟარსკის ძეგლი ვასილი ნეტარის ტაძრის წინ გადაიტანეს. (იგი მთავარი უნივერმაღის წინ იდგა და ეცილებოდა მავზოლეუმის განივ ღერძს). სწორია თვით ნაგებობის კომპოზიციური აგება — საფეხურების სახით, თანდათანობით შემსუბუქებით, რაც უპასუხებს ანსამბლის ძველი ნაგებობების (კრემლის კოშკები, ვასილი ნეტარის ტაძარი) ხასიათს. ამასთან მავზოლეუმის ფორმები უფრო ძლიერია, მასში ჭარბობს ჰორიზონტული ხაზები, ხოლო მისი დაგვირგვინება სრულიად განსხვავებულია — დაგვირგვინებულია არა კონუსურით, არამედ პორტიკით და საფეხურიანი ფილით. შესანიშნავად არის შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა — კრემლის კედლისა და კოშკების მოწითალო-ყავისფერს უპირისპირდება გრანიტისა და პორფირის წითელი და ლაბლადორის ქვის შავი, რუხი ფერების შეხამება. გაპრიალებული ზედაპირები მკაფიოდ გამოჰყოფა კრემლის კედლის ფონზე, მაგრამ საერთო გამით არ უპირისპირდება მას.

ყველაფერ ამას ემატება მთელი ნაგებობის სწორად მონახული მასშტაბი. მთელთან ნაწილების ჩინებული შეფარდებით, ეს ნაგებობა წამყვან, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოედანზე განლაგებულ ნაგებობებში, თუმცა სიმაღლით მავზოლეუმი სამჯერ დაბალია სენატის კოშკზე, ხუთჯერ — ვასილი ნეტარის ტაძარზე და ექვსჯერ — მაცხოვრის კოშკზე...

ვლადიმერ ლენინის მავზოლეუმში სწორად არის გადაწყვეტილი ახალი, სოციალისტური არქიტექტურის იდეური მხარე. ეს სადა, მონუმენტური, მშვიდი ნაგებობა — წმინდა ადგილი და ტრიბუნა — დამაჯერებლად გადმოსცემს ჩვენი ქვეყნის სიძლიერესა და ოპტიმიზმს.



წითელი მოედანი. ცენტრში — ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

## მოსკოვის მეტროპოლიტენი

30-იანი წლები ახალი ეტაპი იყო საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში. მოღონიერებულმა სოციალის-



მეტროპოლიტენის სადგური. „მაიაკოვსკის მოედანი“.

ტურმა სახელმწიფომ დაიწყო დიდი ელექტროსადგურების, მძიმე მრეწველობის გიგანტების, ახალ-ახალი ქალაქების, კურორტების, დიდი საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა. დაიწყო ძველი ქალაქების რეკონსტრუქცია. დამუშავდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს, ერევნის და სხვა ქალაქების განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმები. ამ დროს შეიქმნა მოსკოვის არხის, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ანსამბლები...

ამავე წლებში შეიქმნა მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი რიგის სადგურების არქიტექტურა.

...1902 წლის აგვისტოში მოსკოვის საქალაქო სათათბირომ მოისმინა საპროექტო წინადადება ქალაქში მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ. ქალაქის „მამებმა“ — ვაჭრებმა, კაპიტალისტებმა, არისტოკრატიამ გულგრილად მოისმინეს და ჩააფლავეს პროექტი. მათ ხელს არ აძლევდა მოსკოვის მიწისქვეშა გზა. განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ სასულიერო პირები. ერთ-ერთი მღვდელმთავარი ასე უსაბუთებდა მოსკოვის მეტროპოლიტს მეტროპოლიტენის მშენებლობის იდეის უარყოფის აუცილებლობას: „შეიძლება კი ამ მაცდური ოცნების დაშვება? ადამიანი, შექმნილი ღმერთის დარად მოაზროვნე არსებად, ხომ არ დააკნინებს თავის თავს იმით, რომ ჩავა ჯოჯოხეთში? რა არის იქ, ეს მარტო ღმერთმა იცის და ცოდვილ ადამიანს არა აქვს უფლება იცოდეს!“

1931 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ. ხოლო სამი წლის შემდეგ — 1934 წლის ნოემბერში, მეტროს პირველი რიგი ამუშავდა. ჩატარდა კოლოსალური სამუშაოები. ამოღებულ იქნა 2.282.000 კუბმეტრი მიწა, ჩასხმულ იქნა 714.000 კუბმეტრი ბეტონი... ერთ მშენებლობაზე ბეტონის ამ რაოდენობით ხმარება იმ დროს მსოფლიო რეკორდი იყო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას მაშინ ასეთი მშენებლობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. უცხოეთიდან დახმარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ძველი მოსკოვის ქაოტური დაგეგმარება, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, მიწისქვეშა ნაგებობების (წყალსადენი, კანალიზაცია) მჭიდრო ქსელი, წყლებით გადაჟღენთილი ნიადაგი. გორაკებით და მდინარეებით დასერილი ზედაპირი და სხვა სიძნელეები წინ ეღობებოდა დამგეგმარებლებს და მშენებლებს. მაგრამ საჭიროება მოითხოვდა ყველა დაბრკოლების დაუყოვნებლივ დაძლევას — მოსკოვის ქუჩები გადატვირთული იყო ფეხით მოსიარულეებით, ტრამვაით, ეტლებით, მანქანებით... სოციალისტურ მოსკოვს კი სჭირდებოდა ახლებური, სწრაფი ტრანსპორტი.

მოსკოველი კომკავშირელების თაოსნობით, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ინჟინრე-



ვოლგა-მოსკოვის არხი. რაიო № 5.

პის შემოქმედებითი, თავდადებული შრომით დედაქალაქმა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ლამაზი, კეთილმოწყობილი მეტროპოლიტენი მიიღო. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა არქიტექტორებმა. მათი საქმიანობა ორმაგად იყო გაძნელებული. ჯერ ერთი, მეტროს ზედა ან მიწისქვეშა სადგურების არქიტექტურულად დამუშავების პრაქტიკა თვით საზღვარგარეთაც არ არსებობდა, (კაპიტალისტისათვის სარფიანი არ იყო ესთეტიკური მხარისთვის ზრუნვა); გარდა ამისა, მეტრო, როგორც წმინდა ინჟინრული, უტილიტარული ნაგებობა, გაანგარიშებული გაბარიტებით და კონსტრუქციებით, ცოტა ადგილს ტოვებს არქიტექტურული „გაქანებისათვის“. აქ არის იმის საშიშროება, რომ არქიტექტორი გადაიქცეს გამფორმებლად, დეკორატორად. ზოგიერთ სადგურში ასეც მოხდა. მაგრამ საუკეთესო სადგურებში ეს ამოცანა სწორად არის გადაწყვეტილი.

მაგალითისთვის ავიღოთ მიწისქვეშა სადგური „კროპოტკინსკაია“ (არქიტექტორები ა. დუშკინი და ი. ლიხტენბერგი). სადგურის ფართო, გამანაწილებელი ბაქანი და მეტროს ორივე ხაზი ერთ დიდ სივრცედ არის გაერთიანებული. დარბაზის თაღური გადახურვა კოლონების ორ რიგს ეყრდნობა. კოლონების ქვედა ნაწილი თეთრი მარმარილოთი არის მოპირკეთებული და ზედა ნაწილში სადა, გაფართოებული, სოკოსებური ნაწილით შეუმჩნევლად გადადის უბრალოდ შეთეთრებულ თაღოვან გადახურვაში. ეფექტური, შეუმჩნეველი შენათება (კოლონის თავის გაფართოებულ ნაწილიდან) დარბაზის გადახურვას სიმსუბუქეს ანიჭებს და მაჟორულ, ნათელ განწყობილებას ქმნის. ამას ეხმარება ფერადი გრადაცია — რუხი გრანიტის იატაკი, თეთრი მარმარილოს კოლონები და, ბოლოს, სუფთა თეთრი ჭერი. არცერთი ზედმეტი, მოგონილი დეტალი. კონსტრუქციული ელემენტების მართალი დამუშავება სადგურს დასამახსოვრებელ, თანამედროვე სახეს ანიჭებს. ამ სადგურის არქიტექტურა დღესაც ითვლება ხუროთმოძღვრული ამოცანისადმი რეალისტური მიდგომის მაგალითად.

ძალზე ლამაზია სადგური „მაიაკოვსკაია“ (არქიტექტორი ა. დუშკინი). აქ მოსაპირკეთებელი მასალით — უჟანგავი ფოლადის ტალღისებურნაკეცებიანი ფურცლებით კარგად არის გამომჟღავნებული თანამედროვე მასალის კონსტრუქციული ძალა და სიმსუბუქე. დარბაზი ჰაეროვანია, მსუბუქი. ასეთ წარმოდგენას კიდევ უფრო ზრდის ამ თაღედთან უფრო დაბალი, გრძივი თაღედის პროპორციული შეფარდება.

მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობა უდიდესი მიღწევა იყო — მან გადაწყვიტა დიდი ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობის საკითხები. ხოლო მისი ესთეტიკური სახე, კერძოდ, ზემოთ დასახელებული ნაგებობების არქიტექტურაში მიღწეული წარმატებები, ახლაც კარგი სკოლაა პროექტირების დროს და, არა მარტო მოსკოვის, არამედ ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ბაქოს მეტროპოლიტენების არქიტექტურის შექმნისას.

**დასასრული შემდეგ ნომერში.**




როცა ესპანელმა კონკისტადორებმა* ჯავშნოსანი პირველად დაინახეს, ზოგიერთი მათგანი თავისთავს ეკითხებოდა: ნეტა რაინდებმა გადაიღეს ჯავშნოსნის ასლი თუ ეს საოცარი ცხოველი შემოსა შუასაუკუნეების მეომართა მსგავსად?

ჯავშნოსანი კოლუმბიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე არის გავრცელებული, მაგრამ მარტო ის როდია ამ ქვეყნის ფაუნის ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი! აქ ხშირად შეხვდებით ბანჯგვლიან ჭიანჭველჭამიას, აგრეთვე გრძელბეწვიან ტაპირს, რომელიც ღირსეულად ამშვენებს კოლუმბიის ტყეებს.

მდინარე მაგდალინის სათავეებში ბინადრობს ძალზე ლამაზი კუ მატამატე, ხოლო ჩვეულებრივი კუ ამ მიდამოებში იმდენია, რომ ისინი ხშირად მოტორიან ნავებსაც უღობავენ გზას.

---

* კონკისტადორები — მე-15-16 ს.ს.-ში ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობნი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისა.

ცივ ტბებსა და პატარ-პატარა მდინარეთა შუა გვხვდება სათვალიანი დათვი, მარადიული თოვლის პირას კი თეთრი ირმები „დასახლებულან". მაგდალინის ცხელ დაბლობში ჰაერს სერავენ ნამცეცა ჩიტები — კოლიბრები, წითელი იბისები და თუთიყუშები. მდინარეების ნაპირებზე ნიანგები მიფიცხებიან მზეს და ვარდისფერი ფლამინგოს გუნდები ბრიალებენ.

კოლუმბიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ანდები თითქმის მთელი წლის განმავლობაში ტროპიკული წვიმებით იჟღენთება, მდინარე სანხუანში პაწაწინა ბაყაყი კოკოა ბინადრობს, რომელიც ცოცხალ პატიოსან თვალს მოგვაგონებთ. მაგრამ ბუნებას იგი ტყუილად როდი შეუმკია კაშკაშა ფერებით: ამ ბაყაყის შხამი ყველა ცოცხალი არსებისათვის მომაკვდინებელია. ერთი მინიატურული კოკოას შხამი საკმარისია 50 ისრის მოსაწამლავად, რომელთაც იქაური ინდიელები ბრძოლისა და ნადირობის დროს ისვრიან.



მაგრამ კოლუმბიის ანდებში მობინადრე ყველა ცხოველი როდია საშიში და შხამიანი. ზოგი მალე შინაურდება და ადგილობრივ მცხოვრებთათვის სარგებლობაც კი მოაქვს. მაგალითად, პატარა შავი ჩიტი ტენტე ძიძასავით გულმოდგინედ თავს დასტრიალებს და ფეხდაფეხ დასდევს ჩვილ ბავშვს. როგორც კი რომელიმე მწერი დააჯდება ჩვილს, ტენტე მას იმწამსვე ნაზად აცლის ნისკარტით. ხოლო თუ დაინახა, რომ ბავშვს ნადირი უახლოვდება, მაშინვე ყვირილს მორთავს.

ანდების აღმოსავლეთით ასეულობით კილომეტრზეა გადაჭიმული ბუნებრივი საძოვრები — ლიანოსი, სადაც საქონელი ბალახობს. აქ ყველაზე კოლორიტული ფიგურა გახლავთ ლიანერო — ლასოთი (ქამანდით) და გრძელი ბასრი დანით შეიარაღებული კოლუმბიელი კოვბოი, რომელიც უკიდეგანო ველზე მემამულის მრავალათასიან ჯოგს მწყემსავს.

ლიანოსი სავსეა ნეკისტოლა სისხლისმწოველი ჭიანჭველებით. ხშირ ბალახში, სადაც ათასი სხვადასხვა სახის მღრღნელი და შხამიანი მწერი იმალება, უხმაუროდ დასრიალებენ გველები. მეზობელ მდინარეებში ნიანგები გატრუნულან. ამიტომ, ლიანეროს ჰამაკიც დააქვს თან. ძილის დროს მხოლოდ ჰამაკში გრძნობს იგი თავს შედარებით უშიშრად.

მარტ-აპრილში ლიანოსის თავზე ცა ღრუბლებით იფარება. იწყება წვიმების პერიოდი, ანუ, როგორც აქ ამბობენ, ზამთარი დგება. მდინარეთა დამშრალი კალაპოტები მშფოთვარე ნაკადებით ივსება, მდელოები თვალდათვალ უზარმაზარ ტბებად იქცევა. სულ მალე მთელი ლიანოსი თვალუწვდენელი ზღვით იფარება, საითკენაც ნიაღვრები გაგუდულ ცხოველებს, ძირფესვიანად მოთხრილ პალმებს და ბუჩქებს მიაქანებენ. წყალი სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს; მხოლოდ აქა-იქ კუნძულებივით მოჩანს გორაკები. ყველა სულიერი ამ კუნძულებისკენ მიეშურება. აქ ერთად იყრიან თავს ქურციკი და იაგუარი, მღრღნელები და გველები... ჯერ კიდევ ერთმანეთის გუშინდელი მტრები სევდიანად უცქერიან, თუ რა შეუბრალებლად მოიწევს წყალი მათი უკანასკნელი თავშესაფრისკენ.



ასეთ კუნძულებზე ხშირად ნახავთ ადამიანსაც თავისი ნახირით, რომელიც უამრავ გარეულ ცხოველთან ერთად იყოფს ერთ ციდა ხმელეთს.

მხოლოდ უზარმაზარი წყლის გველები — ანაკონდები და ნიანგები გრძნობენ თავს არხეინად. ისინი უმოწყალოდ სჭამენ წყალში უმწეოდ ატივტივებულ ცხოველებს, თავს ესხმიან ჯოგიდან განცალკევებულ ძროხებს...

მაგრამ აი, დგება ივლისი. წვიმები ცხრება და წყალი სწრაფად იკლებს. ყველა მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება. იაგუარები და ქურციკები ტოვებენ იძულებით თავშესაფარს და კვლავ ერთმანეთის მოსისხლე მტრე-



ბად იქცევიან. მზის მცხუნვარე სხივებში გახვეული დაბლობი იერს იცვლის — ახლა იგი ბობოქარი წყლის ზღვა კი არ არის, არამედ — ბალახისა და ყვავილებისა. იწყება ლიანეროსათვის ყველაზე კარგი დრო: პირუტყვს ყველგან უხვად აქვს საბალახო.

ზაფხული კი ამასობაში თანდათან ძალას იკრებს. ცაზე ღრუბლის ნასახსაც ვერ ნახავს კაცის თვალი. მზე ყოველდღე უფრო და უფრო აცხუნებს. მდინარეებში თანდათანობით თხელდება წყალი და ბოლოს სულაც შრება. ხეებს ფოთოლი სცვივა, ისე, როგორც ჩვენთან გვიან შემოდგომაზე. მიწა იშაშრება. ბალახს წამლადაც ვერ იპოვნით. ჰაერი მტვრით ივსება. ვარვარებს მზის დისკო...

ასე გრძელდება აგვისტოს ბოლომდე. შემდეგ კვლავ წვიმების პერიოდი, ანუ მეორე ზამთარი იწყება, რომელიც ნოემბრამდე—მეორე ზაფხულამდე გრძელდება.

რაც უფრო მივუახლოვდებით ამაზონს, მით უფრო უღრანი და გაუვალი ხდება ტროპიკული ტყე.

მწვანე ჯოჯოხეთი (ასე ეძახიან ამაზონის დაბლობს) ჯერ კიდევ დაუმორჩილებელია ადამიანის მიერ. არ არის გზები, ჯუნგლებში კაცი ვერ გაივლის, ვეებერთელა ფართობზე ათასზე მეტი ტბა მიმოფანტულა. იშვიათად თუ წააწყდებით ინდიელთა სოფლებს მდინარეების პირას.

ამაზონის ტყეებში დუღს და გადმოდუღს სიცოცხლე. ხეებზე ყურთასმენისწამღებად წრიპინებენ მაიმუნები, საშინელი მახრჩობელა გველები მსხვერპლს უთვალთვალებენ, ტყის მეუფე იაგუარი თავის საბილოს, ტაპირს ან გარეულ ღორს ეძებს. ფუსფუსებს, ფუთფუთებს ურიცხვი ჭიანჭველა. მათ შორის ბევრი დიდი ზომისაა. სჯობს ამ სისხლისმსმელებს არ გადაეყარო. საკმარისია მათი რაზმი ხეზე აცოცდეს, რომ ზედ ერთი ფოთოლიც არ დარჩება. ამაზონის დაბლობში წყალდიდობის დროს ჭიანჭველები გიგანტურ შავ ბურთად შეიკვრებიან ხოლმე და წყალში არ იძირებიან. როცა სალაშქრო კოლონებად დაწყობილი ეს მწერები ტყეში მიაბიჯებენ, თვით იაგუარიც კი დაფეთებული გარბის თავის საშველად.

რამდენადაც პირქუშია ტყის ქვედა ნესტიანი იარუსები, იმდენად კოლორიტული და ხალისიანია მზით გაჩახჩახებული ზედა სართულები. ლურჯი, ოქროსფერი და მეწამული ნაპერწკლებივით გაიელვებენ ხოლმე აქ ფრთოსანთა გუნდები. საერთოდ, კოლუმბიაში 1500 სახეობის ფრინველია.

თუთიყუშებში სილამაზით პირველი ადგილი არას უკავია. მის ნაირფერ ფრთებს ინდიელები ყველაზე მშვენიერ მორთულობად იყენებენ.

ტყის მდინარეებსა და ამაზონის შენაკადებში მრავლად გვხვდება თევზი პირაი, რომელსაც შეუძლია რამდენიმე წუთში ადამიანისაგან მხოლოდ ძვლები დატოვოს.

ადგილობრივ მოსახლეობას თავზარს სცემს ანაკონდა. ეს ურჩხული ზოგჯერ ადამიანსაც ესხმის თავს და მდინარის ფსკერისაკენ მიაქანებს. წყალში მისი დაჭერა თითქმის შეუძლებელია. მონადირეები იმ დროს უცდიან ხოლმე, როცა იგი ნაპირზე გამოდის მზის აბაზანის მისაღებად ან მსხვერპლის მოსანელებლად. ამავე ადგილებში ბინადრობს კაიმანი — ვეება ნიანგი, რომლის სიგრძეც სამ მეტრს აღწევს.

აქაური წყლების მკვიდრთაგან ძალზე საინტერესოა ორ მეტრზე მეტი სიგრძის ელექტრული გველთევზა. მისი ძაბვა 50 ვოლტამდე ადის. ეს გველთევზა შესანიშნავი მონადირეა, თუმცა სრულიად უსინათლოა. თავისი ელექტრომუხტით მას არა თუ ადამიანის, ცხენის მოკვლაც კი ძალუძს.

ამაზონის დაბლობის წყლებში ცხოვრობს აგრეთვე მეტად ორიგინალური მდინარის კუ, რომლის ბაკანის სიგრძე ხშირად ორი მეტრია, წონა კი — ნახევარი ტონა. ლამაზი, დიდი ბაკანისა და გემრიელი ხორცის გამო, ამ კუზე ნადირობაა გაჩაღებული. ამიტომ არის, რომ ეს ცხოველი იშვიათად თუ ცოცხლობს 200 წლამდე.

ამაზონის დაბლობი, ცხადია, მხოლოდ უდაბური ტყეები, ნიანგები, ინდიელები და ანაკონდები, მარტო მწვანე ჯოჯოხეთი როდია. მეცნიერებმა მის მდიდრულ საფარველქვეშ აღმოაჩინეს ნავთობის უზარმაზარი მარაგი, რადიოაქტიური საბადოები, ფერადი ლითონები...

ი. გვოზდევი.



# ამოჭედილი



# ლითონი



ლითონის მხატვრული დამუშავების ქართულ, უნიკალურ ნიმუშებს საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

სახვითი ხელოვნების ეს სახეობა საქართველოში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი და განვითარების უმაღლეს წერტილს შუასაუკუნეებში აღწევს. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ადგილობრივი ეროვნული სკოლები, რომელთა ნაწარმოებები გამოირჩეოდა მაღალმხატვრულობით, მრავალფეროვნებით და შესრულების სრულყოფილი ტექნიკით.

ქართული ოქრომჭედლობის შესრულების პრინციპი საუკუნეთა განმავლობაში თითქმის უცვლელი იყო, იცვლებოდა მხოლოდ შესრულების მანერა, სტილი, ოსტატობის მხატვრული და ტექნიკური დონე.

ქართველი ოსტატები ჰქმნიდნენ არა მარტო საკულტო (ხატები, ხატის ჩარჩოები, ჯვრები, ფეშხუმები და სხვ), არამედ საყოფაცხოვრებო საგნებს, ტანსაცმლის მორთულობებს, სამკაულებს, იარაღს...

მრავალჭირნახული ქართველი ოსტატები თაობიდან თაობას გადასცემდნენ თავიანთ შესანიშნავ ხელოვნებას. მათ ძველი ოსტატების — ასათ მოქმედის, ბეშქენ და ბექა ოპიზართა ტრადიცია დღევანდლამდე შემოგვინახეს. უკვე ორი ათეული წელია, რაც ჭედურობის ნამუშევრები განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვა სახეობათა შორის.

დღეს ქართულ ინტერიერში დიდი ადგილი უჭირავს ჭედურობით შესრულებულ დეკორატიულ პანოებს, სურათებს, სამკაულებსა თუ სხვა ყოფითს ნივთებს. მრავალფეროვანია მათი თემატიკაც: თანამედროვე ქარ-

სალამურები.
ლიქიორის სერვიზი.
ხანჯალი.

თული ყოფა თუ ძველი ტრადიციული სიუჟეტები, მრავალსახოვანი ჩვენი ჩუქურთმა.

ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი, მხატვარ-ოქრომჭედელ მარკლენ (კარლო) ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

კ. ქუთათელაძე დაიბადა 1929 წელს. ბავშვობის წლები მამის საზეინკლოში გაატარა, რამაც ბავშვს ლითონის დამუშავებისადმი ინტერესი გაუღვიძა. იგი შედის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში და წარმატებით ამთავრებს მას. აქ მიიღო მან ფერადი ლითონების დამუშავების ოსტატ-გრავიორის წოდება. ამის შემდეგ კ. ქუთათელაძე მუშაობას იწყებს საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული სახვითი ხელოვნების საწარმოო კომბინატში, სახელგანთქმულ ოქრომჭედელ გიორგი ხანდაშვილთან, რომლის ხელმძღვანელობამ თავისი კვალი დაამჩნია ახალგაზრდა ოსტატის შემოქმედებას. მოწაფე დღესაც მადლობით იხსენიებს თავის მასწავლებელს და კონსულტანტებს — სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს და პროფესორ დავით ციციშვილს.

კ. ქუთათელაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა მხატვარ-კონსტრუქტორის წოდებით. მის სადიპლომო შრომას — ვერცხლის სურას, ლანგარსა და ფიალებს საერთო მოწონება ხვდა წილად (ეს ნამუშევრები ამჟამად გამოფენაზეა ექსპონირებული). აკადემიის დამთავრების შემდეგ მან იქვე დაიწყო მუშაობა პედაგოგად.

კ. ქუთათელაძემ სათანადო როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ჭედურობის აღორძინებასა და განვითარებაში.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მისი ნამუშევრების გამოფენაზე ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ოქრომჭედლის მიერ ლითონის მხატვრულად დამუშავების ტექნიკა. ნამუშევრები შესრულებულია ჭედურობით, გრეხილით, სევადით, გრავიურით, ზარნიშით, გავარსით და მინანქრით. ნაირფეროვანია კ. ქუთათელაძის შემოქმედების თემატიკაც. აქ ერთმანეთს ცვლის პორტრეტი და სიუჟეტური სურათები, პეიზაჟები, ქართული მცენარეული თუ გეომეტრიული ჩუქურთმა, რომლისთვისაც შერჩეულია შესაფერისი სადა ფორმა, ჩუქურთმაში ხშირად ჩაქსოვილია პორტრეტები, სიუჟეტური სურათები ან ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებები.

ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავს მიუძღვნა ოსტატმა საინტერესოდ გადაწყვეტილი ლენინის ბარელიეფი. ამ იუბილესთან დაკავშირებით ავტორს ჩაფიქრებული აქვს დიდი პანო ოქტომბრის რევოლუციის თემაზე, სადაც რევოლუციის დიდი ბელადი იქნება წარმოდგენილი.

კ. ქუთათელაძემ შექმნა შ. რუსთაველის პორტრეტი, სათუთუნე, რომელზეც გამოსახულია „კაჭეთის ციხის აღება“, „ტარიელის ბრძოლა ვეფხვთან“. მანვე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო მინიატურული გამოცემებისათვის შეასრულა მოვერცხლილი ყდის რამდენიმე საინტერესო ვარიანტი.

გამოფენაზე წარმოდგენილი პორტრეტებიდან ყურადღებას იპყრობს:



აზარფეშა.



ვაზა.



კულა.

„ალიშერ ნავოის“ და „უცნობი ქალის პორტრეტები“.

კ. ქუთათელაძე ძალზე შრომისმოყვარეა, რასაც მოწმობს მისი მრავალი გრაფიკული თუ ჭედური ნაწარმოები.

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი ლიქიორის და კონიაკის სასმისები, აზარფეშები, ყანწები, ფიალები, ხრიკები, კულები; სამკაულები: ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, გულსაბნევები, ქამრის ბალთები, აგრეთვე სათუთუნეები, ხანჯლები, სალამურები და სხვა მრავალი.

ბევრი უძილო ღამე გაატარა მხატვარმა მას შემდეგ, რაც ჰემინგუეის სახელგანთქმული ნაწარმოები „მოხუცი და ზღვა“ წაიკითხა. ხანგრძლივი, დაძაბული ფიქრისა და შრომის შემდეგ ჰემინგუეის ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა — ჩუქურთმებითა და ორი მედალიონით შემკული დიდი, მოვერცხლილი ყანწი. ერთ მედალიონზე იყო ჰემინგუეის ნაწარმოების ილუსტრაცია — „მოხუცისა და თევზის შებმა“, მეორეზე კი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია — „ტარიელისა და ვეფხის ბრძოლა“. შორეული ქვეყნიდან მიღებულმა საჩუქარმა დიდად გაახარა მოხუცი მწერალი. მან ამ საჩუქარს თავის კაბინეტში საპატიო ადგილი მიუჩინა.

კ. ქუთათელაძის ნაწარმოებებს დიდი წარმატება ხვდა არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო გამოფენებზეც: ლაიფციგში, ნიუ-იორკში, პარიზში, ვენაში, იზმირში, ტოკიოში...

ირინე უზნაძე.



სამაჯური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა მეგობრები ჩხუბობენ

ზღაპარი

ერთხელ თხუნელამ ძალზე საკვირველი წერილი მიიღო — ბალახის გრძელი ღერო, რომელიც რამდენიმე ადგილას გამონასკვული იყო. ეს ნასკვები მაშინ ცხოველების ენაზე სხვადასხვა სიტყვას აღნიშნავდა. დიდი წვალებით, როგორც იქნა, თხუნელამ ყველა ნასკვი გახსნა და ამოიკითხა: მშრალ კუნძულზე სტუმრად ეპატიჟებოდნენ. საოცარი ის იყო, რომ ამ მიპატიჟებას ოთხი თავკაცი: მელა, ყვავი, კურდღელი და დათვი აწერდა ხელს.

უნდა ავიჩქარდე. როგორც ჩანს, ძალიან საჭირო საქმეზე მიხმობენო, — თავისთვის ჩაილაპარაკა თხუნელამ და მაშინვე სამგზავრო სამზადისს შეუდგა. სასწრაფოდ მიალაგმოალაგა ბებერი ნეკერჩხლის ხესთან მდგარი თავისი ქოხი, ხავერდის ქურქი გაიწმინდა და გზას გაუდგა.

ტბის ნაპირთან ცოტა სული მოითქვა, სვენებ-სვენებით გადასცურა წყალი და მშრალი კუნძულის ნაპირზე გამოვიდა.

მათი უდიდებულესობა ოთხივე თავკაცი უკვე მოსულიყო და მის გამოჩენასღა ელოდნენ.

— ახლა კი, რაკი ყველანი შევიკრიბენით, — თქვა დათვმა — პირველი სიტყვა მელიას ეკუთვნის...

მელამ არც აცივა, არც აცხელა, წამოდგა და თხუნელას მაშინვე მკვახედ მიახალა, შენი ქოხიდან გუდანაბადი უნდა აიკრა, ასეთია ჩვენი გადაწყვეტილებაო.

— უჰ, შე ცბიერო არამზადავ, აი თურმე რისთვის მეპატიჟებოდი! — გაიფიქრა თხუნელამ, ხმამაღლა კი ძლივს გაუბედა:

— რას მერჩით, რატომ უნდა გადავსახლდე, მე ამ ბებერი ნეკერჩხლის ძირში თავს ბედნიერად ვგრძნობო.

— ამას დამიხედეთ, თურმე ბედნიერად ცხოვრობს! — დაიჩხავლა ყვავმა. — აბა მითხარით, მუდამდღე ამ მუგუზალივით შავი და საზიზღარი არსების შემყურე რა ხასიათზე ვიქნებით?

— დიდი მშვენიერი არც შენ ბრძანდები, შენ რომ ტყეში გამოჩნდები, გულგახეთქილი დედაჩიტები მაშინვე ბარტყებს მალავენ, — ის იყო ამის თქმა დააპირა თხუნელამ, რომ კურდღელმა დაასწრო:

— სულ მიწას იჩიჩქნები, სულ სოროების თხრაში ხარ, შენგან ღამითაც არ გვაქვს მოსვენება. ისედაც ფხიზელი ძილი ვიცი და მაგ შენი გაუთავებელი ფხაჭა-ფხუჭისაგან თვალი ვერ მომიხუჭია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუნელა წვრილი, მზის სხივებით გაბრწყინვებული, ჭკვიანი თვალებით კურდღელს მისჩერებოდა და თან გულში ამბობდა: — ჩერჩეტო, ხომ არ გგონია, რასაც ახლა ამბობ ყველაფერი მჯერა.· ვიცი ვაჟბატონო, რა გულისწუხილიც გალაპარაკებს—ქვეყანაზე შენი თავის მეტი არავინ არ გახსოვს, მუდამ ასეთი მხდალი იყავი და ვაჟკაცი ვერც ვერასოდეს გახდებიო.

მაგრამ თხუნელა ამას მხოლოდ თვალებით ამბობდა, ხმამაღლა კი შეწუხებული ხმით ბოდიშობდა:

— ვწუხვარ, რომ ამდენი უსიამოვნება მოგაყენეთ. ვფიცავ, დღეის ამას იქით ჩქამსაც არ გავიღებო.

ჯერი დათვზე მიდგა.

— ჩემს ბუნაგში ახალი გზა მინდა გავიყვანო. შენი სოროები ზედ შუა გზაზეა გაჩხირული. ხომ არ გგონია მაგ შენი სოროების გულისთვის შორიდან შემოვუვლი ჩემს ბუნაგს?

თხუნელა ხან ერთს შეჰყურებდა, ხან მეორეს. მერე იფიქრა, იქნებ რომელიმეს თხოვნით გული მოვულბოო და ცრემლმორეულმა ვედრება დაიწყო:

— მაშ რა ვქნა, მირჩიეთ. მამაჩემს, პაპაჩემს და ჩემი პაპის პაპას ყველას ამ სოროში უცხოვრია. ყოვლისშემძლე მანიტუს* უბრძანებია, რომ ჩვენს წინაპრებს ბინა სწორედ ამ ადგილას დაედოთ. თქვენ კი გაგდებას მიპირებთ...

— გეყოფა წუწუნი, — შეუღრინა მელამ. — გირჩევნია, ნებით გამოხვიდე, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ბოლოს მოგიღებთ და ის იქნებაო.

— რა ამბავია? რა ქოთქოთია? — მოისმა უცებ ვილაცის ხმა.

მოჩხუბრებმა დავას თავი ანებეს და გაკვირვებულებმა მიმოიხედეს. მათ წინ კუ იდგა.

— ახლავე აქაურობას გაეცალენით. — ბრძანა გაბრაზებულმა კუმ.

— ეგ როგორ იქნება, ბატონო, ჩვენ აქ ვთათბირობთ, — ხელები გაასავსავა ყვავმა.

— თათბირობთ თუ არა, ეგ ჩემი საქმე არ არის, ახლავე მიბრძანდით, თორემ ქვიშას გავახურებ და ყველანი შიგ ამოიწვებითო, — თქვა და თავისი გზით გასწია.

მართლაც ქვიშა თანდათან გათბა, მერე ისე გახურდა, რომ მათმა უდიდებულესობამ ოთხივე თავკაცმა იკადრა და შინისაკენ მოკურცხლა. თხუნელა კი ჩამორჩა, მიწაში ჩაძვრა და სირბილით უკაცრიელ ადგილზე ამოყო თავი, კუს წამოეწია.

— რა კეთილი და ძლიერი ყოფილხარ, მოდი დავმეგობრდეთ, — უთხრა თხუნელამ კუს.

— დავმეგობრდეთო, — დაეთანხმა კუ და დააიმედა, იმ ოთხ არამზადას შენს თავს არ დავაჩაგვრინებო. ჩემი ბაკანის პატრონს მაგათი არეშინიან, თითსაც ვერ დამაკარებენო.

— მოკვლას მიპირებენ, შეიძლება შენთან დავრჩე საცხოვრებლადაო? — სთხოვა თხუნელამ.

— აქ არც ხე ხარობს და არც ბალახი. ვერ გასძლებ, თუ ვინმემ რამე გაწყენინოს, შენ მე მითხარი და საკადრის პასუხს მივცემო...

ძალიან გაუხარდა თხუნელას. ახლა რაკი მეგობარი ჰყავდა, გული მიეცა და გამხნევდა.

მეგობრებმა პირობა დადეს, რომ ერთმანეთს ხშირად მოინახულებდნენ.

რაკი ოთხმა თავკაცმა შეიტყო



რომ ამიერიდან თხუნელას მეგობარი და მფარველი ჰყავდა, ცოტა არ იყოს მოწიწებით ექცეოდნენ, ერიდებოდნენ, გულში კი ბოღმა ახრჩობდათ და სულ იმის ფიქრში იყვნენ ჯავრი როგორ ამოეყარათ.

განსაკუთრებით მელა ვერ ისვენებდა. ყველაზე ბოროტი განზრახვა მას ჩაედო გულში.

სწორედ იმ დღით, რა დღითაც კუ თხუნელას სტუმრად უნდა სწვევოდა, ტყეში დაფდაფების გრიალი ატყ-

*მანიტუ — ინდიელთა ღმერთი.



და. ამ ხმამ მშრალ კუნძულზე გამოსამგზავრებლად გამზადებულ კუს ყურამდე მიაღწია.

— რაღაც არ მომწონს ეს გრიალი, — თქვა ტბასთან შეჩერებულმა კუმ და მეორე ნაპირს გახედა.

ხმაური კი სულ უფრო და უფრო მატულობდა. თხუნელას ისე ეგონა, რაც რამ ქვეყნიერებაზე სულდგმულია, ყველა საბრძოლველად დაძრულაო. თან ჰუჰრუტანიდან იხედებოდა, ეგებ კუს მოვკრა თვალიო. გაჭირვებაში მეგობრის გვერდით უნდოდა ყოფნა.

კუ კი არსად ჩანდა.

— მოდი, კლდეზე ავცოცდები, იქ უფრო უშიშრად ვიქნებიო, — გაიფიქრა თხუნელამ და ყველაზე მაღალი კლდის წვერზე აცოცდა. მთელი დღე იქ დაჰყო. შინ ბინდისას გამობრუნდა. გზად მელა შემოხვდა.

— ოო, რა მიხარია რომ გხედავ, ჩვენ გვეგონა შენც დაიწვიო, — უთხრა გაოცებულმა მელამ.

— რას ამბობ, რად უნდა დავმწვარიყავი?—გაუკვირდა თხუნელას.

— როგორ, განა არ იცი, გამძვინვარებული კუ დაგეძებდა, შენთან საჩხუბრად წამოსულა. რაკი შინ არ დახვედრიხარ, ჯავრი შენს ქოხზე უყრია — სულმთლად გადაუბუგავს იქაურობა.

თავზარდაცემულ თხუნელას კინაღამ გული შეუღონდა. ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. ნუთუ მეგობარმა უმტყუნა? მელასთვის სახეზე არც კი შეუხედავს, ისე განაგრძო გზა. ის ღამე თხუნელამ ჩანახშირებულ ქოხში გაატარა. მთელი ღამე თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. მოღალატე მეგობარზე შური უნდა ეძია.

ირიჟრაჟა თუ არა, თხუნელამ ტბა გადასცურა და წვრილი, გამკივანი ხმით კუს დაუწყო ძახილი, ბოღმა ახრჩობდა.

— მოღალატევ, აბა, გარეთ გამობრძანდი, უნდა შეგეჭიდოვო. მაგრამ ქოხიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. თხუნელა ახლოს მივიდა და შიგ შეიხედა.

მაგრამ კუ შინ არ დახვდა. როგორც ჩანს დილაადრიან სანადიროდ გასულიყო.

— არა უშავს, რა წამლითაც მე მომარჩინე, იმ წამალს არც შენთვის დავიშურებო. — თქვა გაბოროტებულმა თხუნელამ და კუს სახლს ცეცხლი წაუკიდა. ალი გუგუნით აიჭრა ჰაერში. მალე მთელი მშრალი კუნძული სქელ ნისლში გაეხვია.

კვამლის დანახვაზე კუმ მაშინვე თავის სახლს მიაშურა.

მეგობრობისათვის ასე გადამიხადე მადლობაო? — შეიცხადა კუმ თხუნელას საქციელი, ეცა და მიწაზე დააწყუბინა კოტრიალი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იბრძოდნენ მეგობრები. გარშემო მტვრის კორიანტელი დადგა. მიწა გაბრაზდა, პირი გახსნა და მოჩხუბრები ქვიშაში ჩაფლა.

ოთხი თავკაცი კი ამ დროს მელას მოწყობილ ხრიკზე იცინოდა და გამარჯვებას ზეიმობდა.

ასე დაიღუპა თხუნელა თავისი მოკლე ჭკუით და დაღუპა მეგობარიც.

ინგლისურიდან თარგმნა
**ნათელა გუჯაბიძემ.**

მხატვარი
**ზურაბ ფორჩხიძე.**







### საქართველოს კარიბჭესთან

**შალვა თელია**

მეოთხედი საუკუნე გვაცილებს იმ დღეებს, როცა საბჭოთა არმიის ნაწილებმა დაამარცხეს და უკუაგდეს კავკასიონის მისადგომებთან მოსული ფაშისტური ურდოები. კავკასიასთან გაჩაღებული ბრძოლის ეპოპეაში დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერეს მარუხის უღელტეხილის დამცველებმა. ამ წიგნში თქვენ გაეცნობით, რაოდენი თავდადებით ებრძოდნენ მტერს თქვენი მამები და პაპები, ებრძოდნენ, რათა თქვენ გქონოდათ სამშობლო, გაზრდილიყავით, გესწავლათ, გეცქირათ მზისათვის და ბედნიერები ყოფილიყავით. წიგნის ავტორია მარუხის ბრძოლების უშუალო მონაწილე, ერთ-ერთი მსროლელი პოლკის მეთაური შალვა თელია.





### ჯიმარაის ტუსალები

**რევაზ ჯაფარიძე**

ორი წლის წინათ ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა ალბათ წაიკითხეს „პიონერში" დაბეჭდილი მწერალ რევაზ ჯაფარიძის ვრცელი მოთხრობა „ჯიმარაის ტუსალები". ახლა „ნაკადულმა" ეს მოთხრობა ცალკე წიგნად გამოსცა. ამ მოთხრობის გმირებს დიდი განსაცდელი ხვდებათ. გასაჭირში იწრთობა მათი მეგობრობა, სიძნელეებში გამოიცდება მათი სულის სიმტკიცე, ხასიათის შინაგანი ძალა თუ სულმოკლეობა.

ახალგაზრდები თავგამოდებული ებრძვიან სტიქიას და ასევე გამძაფრებით ცდილობენ დაძლიონ ყველაზე მდაბალი საწყისები საკუთარ არსში...







**ლიაკროსი** (კანადური თამაშია) ძალიან ჰგავს ბალახის ჰოკეის, მაგრამ ბურთი აქ ჰაერში დაფრინავს და ჰოკეის ჩოგანის ნაცვლად, საგანგებო ჩოგნები — კროსებია გამოყენებული. ამ ჩოგანსა და მის ზომებს თქვენ ნახატზე ხედავთ. ბურთი რეზინისაა, 142 გრამს იწონის, წრეწირი 42 სმ. აქვს.

მოედნის ცენტრში შემოხაზავენ 3,6 მეტრის დიამეტრის წრეს. წრეში დგება და თამაშობს ორი თავდამსხმელი. გუნდის დანარჩენი წევრები (გუნდში 5 კაცია) თავ-თავიანთ მოედანზე ეწყობიან. მეკარეს მხოლოდ თავის მოედანზე შეუძლია თამაში. მოთამაშეებს არა აქვთ სხვის მოედანზე შესვლის უფლება. მეკარეს ბურთის მიღება ჩოგანითაც შეუძლია, ხელითაც და ფეხითაც. დანარჩენები მხოლოდ ჩოგნით თამაშობენ. ორი ცენტრალური თავდამსხმელი გაითამაშებს ბურთს და თამაში იწყება!





**პულ-ბოლი** (შოტლანდიური თამაშია) დიდ სიყოჩაღესა და სისწრაფეს მოითხოვს. მოთამაშეები მოზრდილ ბურთს, კარში ტყავის პატარა ბურთით, ან ჩოგბურთის ბურთით აგდებენ. ეს პატარა ბურთი ბაწრითაა მაჯაზე მიბმული. სათამაშო მოედანიც უცნაურია. (დახედეთ ნახატს) მეკარეთა მოედნები „მკვდარი" ზონით არის შემოფარგლული. ამ ორ ზონას ერთმანეთთან ნეიტრალური არე აერთებს. ოთხ-ოთხი კაცი ნეიტრალური ზონის აქეთ-იქით დგება. მოთამაშენი არც იქ, და არც „მკვდარ" ზონაში არ შედიან. მეკარე ბურთს ხელითაც იგერიებს. თამაში 60 წუთს გრძელდება. შესვენება 10 წუთია.







**თამაში წყალში.** ამ თამაშის ორი ვარიანტი არსებობს. პირველია, როცა ერთმანეთზე ფეხებგადაჭდობილი ორი ბავშვი ხელებს ძალუმად უსვამს, ორივე ცდილობს მოწინააღმდეგე გაიტაცოს. მეორე სახეა როცა მოასპარეზენი ერთმანეთის პირისპირ დგებიან, ფიცარს ან რგოლს ხელს ჩაავლებენ და, ფეხების მოძრაობით, წინ წაწევას ცდილობენ.





### ძაღლი-ტელეპათი

ერთ ლონდონელს „ტელეპათიის" უნარით დაჯილდოებული ძაღლი ჰყავს. იგი უმალვე ხვდება, მისი პატრონის მიმართ როგორ არის განწყობილი სტუმრად მოსული ესა თუ ის პიროვნება. თუ სტუმარს კეთილი ზრახვები აქვს, ძაღლი მიელაქუცება, თუნდაც პირველად ხედავდეს მას, მაგრამ თუ გულში ავი რამ უდევს, ძაღლი ღრენას იწყებს.

### მაიმუნები შინამოსამსახურეებად

ერთი ამერიკელი ზოოლოგის აზრით, შინამოსამსახურეებს მომავალში მაიმუნები შესცვლიან. ასეთი წინასწარმეტყველების საბაბს იძლევა ამ სწავლულის ბინაში მცხოვრები შიმპანზე როზი, რომელიც მშვენივრად რეცხავს და აუთოებს თეთრეულს, ამასთან ბევრ სამზარეულო საქმესაც კარგად ართმევს თავს.



### „ციური ძღვენი"

ხანდაზმული ინგლისელი ლედი ჩაის მიირთმევდა, როცა უეცრად მინის მსხვრევის ხმა მოესმა და მის ფეხებთან ქვა დაეცა. ქალს შიშისაგან ფინჯანი ხელიდან გაუვარდა. გონს რომ მოეგო, წყევლა-კრულვა გაუგზავნა ხულიგნებს, რომლებმაც მას მყუდროება დაურღვიეს, და ფანჯრიდან შემოტყორცნილი ქვის ასაღებად დაიხარა. მაგრამ ქვა გავარვარებული აღმოჩნდა — მას ფარდაგზე დაცემის ადგილი ამოეწვა. „ეს ნამდვილად მამაზეციერის გამოგზავნილია". — გაიფიქრა ლედიმ. როცა ქვა გაცივდა, ქალმა იგი შეფუთა და ბრიტანეთის ასტრონომიულ საზოგადოებას გაუგზავნა. აღმოჩნდა, რომ ეს „ქვა" ერთ-ერთი კოსმოსური რაკეტა-მატარებლის ნამსხვრევი ყოფილა.

### ზღვა — ავსტრალიის შუაგულში

შესაძლოა ავსტრალიას მალე საკუთარი, შიდა ზღვა ექნეს. ოკეანის წყლით გაივსება უზარმაზარი, 9600 კვადრატული კილომეტრი ფართობის დაჭაობებული ტაფობი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ, თუ წყალი მიწაში არ ჩაიჟონა, ამ არემარეში ჰავა მკვეთრად შეიცვლება: წვიმები გახშირდება და ხანგრძლივ გვალვებს ბოლო მოეღება.

### „ქალბატონი რობოტი"

ტოკიოელმა კონსტრუქტორმა ირუ აიზავამ შექმნა „ქალბატონი რობოტი", რომელიც საკონსტრუქტორო ბიუროში მდივანი ქალის მოვალეობას ასრულებს. მას დღისითაც შეუძლია იმუშაოს, ღამითაც, უქმე დღეებშიაც, ამასთან არც გასამრჯელოს ითხოვს ზედმეტი მუშაობისათვის. „ქალბატონი რობოტი" სამუშაო დღის განმავლობაში, სხვა საქმეების გარდა, ცხრაასამდე წერილის გადაბეჭდვასაც ასწრებს.

### მუსიკალურ იტალიაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იტალიელები მუსიკალური ხალხია, და, საერთოდ, იტალიაში ძალზე პოპულარულია მუსიკა, მაგრამ აი, რომის ერთ-ერთმა გაზეთმა — „სტამპამ", ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ცნობა გამოაქვეყნა. თურმე 100 ახალგაზრდა იტალიელიდან 73-მა არ იცის რა არის ოპერა, ხოლო 89 არასოდეს არ ყოფილა სერიოზული მუსიკის კონცერტებზე.

### ლონდონში ლა-მანშის წყალი?

ინგლისურმა გაზეთმა „საიენს ჯორნელმა" თავის მკითხველებს ამას წინათ უსიამოვნო ამბავი აუწყა: ბრიტანეთი იძირებაო! ამ კუნძულის მთელი სამხრეთი ნაწილი თურმე სულ უფრო და უფრო დაბლა იწევს, იმ დროს, როცა ჩრდილოეთი ნაწილი პირიქით — მაღლა ამოდის. ყველაზე მეტი საშიშროება სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ემუქრება. ასე რომ, გაზეთის აზრით, რამდენიმე ხნის შემდეგ ლონდონი ლა-მანშის წყლით დაიფარება.

ინგლისელებს ერთი რამ აქვთ ნუგეშად: ჯერ კიდევ არის დრო იმის მოსაფიქრებლად, თუ რა გზით აიცილონ წარღვნა. მეცნიერთა გამოანგარიშებით, მოსალოდნელ წარღვნამდე ათასხუთას წელზე მეტია დარჩენილი.

### თითის ანაბეჭდი თუ არ დაემთხვა...

აშშ-ში გამოიგონეს ელექტრონული ბოქლომი, რომელიც სცნობს სახლის პატრონის თითის ანაბეჭდს. ბოქლომი იხსნება მასზე მოთავსებულ ღილაკზე თითის დაჭერით, მაგრამ მისი მექანიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამუშავდება, თუ კარის გამღების თითის ანაბეჭდი ამ მოწყობილობის მიერ დახსომებულ ანაბეჭდს დაემთხვევა.



### მინერალური წყალი ნათესებისათვის

სომხეთში გეოლოგებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა თბილი წყალი. გამოირკვა, რომ ეს წყალი მინერალურ სასუქად გამოიყენება. მასში გახსნილია მცენარისათვის სასარგებლო მარილებისა და მიკროელემენტების კომპლექსი.

აგრონომებმა უკვე დაიწყეს მინერალური წყლით პურისა და სიმინდის ნათესების, აგრეთვე ვენახებისა და ბაღჩა-ბაღების რწყვა. ამის წყალობით, ყურძნის მოსავალი 20 პროცენტით გაიზარდა, სიმინდმა კი უფრო მძიმე და ცილებით მდიდარი ტაროები გამოიბა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ვლასოვი
ა. მლოდიკი

# ახალი სახლი

მხატვარი
აკაკი
თევზაძე

მოთხრობა

ექვსსართულიანი ნათელი და ლამაზი შენობა ფართო ფანჯრებით ბაღს გადაჰყურებდა და ახალმოსახლეებს ელოდა.

იმ დღეს ამ ახალ სახლს მხოლოდ ოთხი საბარგო ტაქსი მოადგა. ერთ-ერთი მანქანა შუა სადარბაზო კართან გაჩერდა. კაბინიდან თოთხმეტიოდე წლის ცხვირპაჭუა, ბიჭურად შეკრეჭილმა გოგონამ ისკუპა. მის უკან, ქალი გამოჩნდა. ძარიდან კი მამაკაცი ჩამოხტა. სამივენი მანქანასთან გაჩერდნენ და უხმოდ დაუწყეს თვალიერება ახალ სახლს.

მძღოლმა მანქანის უკანა ქიმი გადმოსწია და ბედნიერ ოჯახს მიუახლოვდა.

— კარგი სახლია! — თქვა მან. — რომელი სართულია? ცალკე ბინა?

— ცალკეა! — უპასუხა ქალმა და ამოიოხრა, თითქოს მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ სამუდამოდ გამოეთხოვა თავის კოლოფის ოდენა ოთახს. — მეოთხე სართულია, ოცდამეთექვსმეტე ბინა. აგერ ის ორი ფანჯარა ჩვენია, აივნისკენ.

— დავიწყოთ გადმოტვირთვა? — შეეკითხა მძღოლი.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — უპასუხა ქალმა და ქმარს მიუბრუნდა.

— მიშა, დაიწყე! ლუდა, აირბინე ჩვენს ბინაში, ნახე ღიაა თუ არა კარი, იქნებ მეეზოვესთან დაგვჭირდეს მისვლა გასაღებისთვის.

გოგონამ სადარბაზოსთან მიირბინა. კარი მორჩილად გაიღო და ლუდა განიერ დერეფანში შევიდა. ფართო კიბე მეორე სართულზე მიემართებოდა. მავთულის ოთხკუთხა ბადეში კი ლიფტის კაბინა მოჩანდა. ირგვლივ ახალი საღებავი ბრწყინავდა. საკვირველი სიჩუმე იდგა და გოგონას ფეხის ხმა მთელ სართულებზე ისმოდა. ლუდა უნებურად თითის წვერებზე შედგა, მაგრამ მალე თავისი გაუბედაობა სასაცილოდ ეჩვენა. რაღაც უცნაური, შეუკავებელი სიხარულით მიირბინა ლიფტთან, ლითონის კრიალა ბადეს თითები ჩამოუსვა. მერე ხელი პირთან მომუჭა და ლიფტის ჭას ხმამაღლა ასძახა:

— სახლო! ჩვენო კარგო! მშვენიერო!

ექომ გაიხმიანა... ნიერო... ნიერო!

ლუდამ ლიფტის კარის სახელური მოსწია. ნათურამ თვალი მეგობრულად ჩაუკრა და კაბინა განათდა.

— ლიფტო! უკვე მუშაობ? — გაუკვირდა გოგონას. კაბინაში შევიდა, ღილაკს თითი დააჭირა. ლიფტი მსუბუქად დაიძრა.

მეოთხე სართულის ბაქანზე ორი კარი იყო. ორივეზე თეთრად ანათებდა მომინანქრებული რგოლი. მარჯვენა კარის რგოლზე ეწერა 36, მარცხენაზე კი — 37. ლუდამ ზარი დარეკა. ზარმა რაღაც ჰანგი გაიწკრიალა.

— მობრძანდით, გეთაყვა! — საზეიმოდ წარმოსთქვა ლუდამ და დაუკეტავი კარი შეაღო...

ახალმოსახლეებმა ავეჯი სახელდახელოდ დაალაგეს და უკვე დაღამებული იყო, ჩაის დასალევად რომ დასხდნენ. ბინაში ბევრი ცარიელი ადგილი დარჩა და მათი ხმა უჩვეულოდ ჟღერდა.

— მიშა, ეტყობა სისულელე ჩავიდინეთ, კარადა და კამოდი რომ არ წამოვიღეთ! — თქვა ლუდას დედამ. — ნახე რამდენი ადგილია!

— შევავსებთ! რა საჭიროა ძველი ავეჯის ახალ ბინაში გადმოთრევა. — უპასუხა მამამ და პაპიროსს მოუკიდა.

— კარგი იქნებოდა ზოგიერთი ჩვეულებაც იქ დაგვეტოვებინა, — გაეღიმა დედას და მამას პაპიროსზე ანიშნა.

. — ჰო, ურიგო არ იქნებოდა! — დაეთანხმა მამა. — მაგალითად, ახალ ბინაში ცოლი ქმარს არ უნდა ებუზღუნებოდეს და ქალიშვილი შეთქმულივით არ უნდა შეჰყურებდეს დედას. ყველას გაეცინა.

დილით დედა და მამა სამსახურში წავიდნენ.

ლუდა მარტო დარჩა. აიღო უბის წიგნაკი, რომელშიც ჯერ კიდევ გუშინ მონიშნა სადღეისო დავალებები. დედამ სთხოვა გაეგო სად იყო აქ მექანიზებული სამრეცხაო, აფთიაქი, დიეტური მაღაზია. უნდა შეესრულებინა მამის დავალებაც: სატელეფონო ქსელში წაეღო ცნობა; რომ აპარატი, რომელიც ძველ ბინაში ედგათ, ჩაბარებულია და ხაზიც გამორთეს. მამამ ისიც სთხოვა, რომ სახლმმართველობაში შეევლო და გაეგო ვინ დგამდა ტელევიზორისა და რადიოს ანტენებს, მაგრამ სანამ საქმეს შეუდგებოდა, გოგონამ გადაწყვიტა ცარიელი სახლი დაევლო და ბინები დაეთვალიერებინა.

შემოვლა ბოლო სართულით დაიწყო. მე-6 სართულზე რომ ავიდა, უეცრად აღშფოთებული შედგა. კიბის ბაქანზე, ჯერ კიდევ ფეხდაუდგმელ ცემენტზე თეთრად ელავდა წარწერა: „მე+სახლი=კომუნიზმს!“ დაგრეხილმა ასოებმა თავზარი დასცა გოგონას. ახალი სახლი! ჯერ შესახლებაც კი არ დამთავრებულა და ვიღაცამ დასვარა კიდეც? მივიდა პირველივე კართან და ზარი დარეკა. გუმანით გრძნობდა წარწერის ავტორი აქვე უნდა ყოფილიყო სადმე. ზარზე არავინ გამოეპასუხა. მეორმოცე ბინა ცარიელი იყო.

მაშინ გოგონამ 41-ე ბინაში დარეკა. მაშინვე გაიგონა აჩქარებული ფეხის ხმა. ვიღაც ხტუნვა-ხტუნვით მორბოდა დერეფანში. კარი ნაცრისფერთვალება ბიჭმა გააღო.

— ეს შენ დასწერე? — ჰკითხა აღშფოთებულმა ლუდამ.

ბიჭმა დახედა თეთრ ასოებს და ცხვირი აპრიხა.

— მე! მერე რა?

— ის, რომ, ისეთები როგორიც შენა ხარ, კომუნიზმს ვერ ააშენებენ, — დაუცაცხანა გოგონამ. — ტყუილად დაგიჯყაპნია აქ ტოლობის ნიშანი.

ბიჭი შეცბა.

— რასა ცხარობ? შენ გგონია მე... შეუგნებელი ვარ?

კედელზე ხომ არ დამიწერია? იატაკზე რა უშავს, წაიშლება! სიხარულისაგან დავწერე.

— წაშალე! — უბრძანა ლუდამ.

ბიჭმა წარწერას ფეხსაცმელი მოუსვა.

— ასე არა! ტილო მოიტანე!

ბიჭმა მორჩილად შეირბინა ოთახში, სველი ტილო გამოარბენინა და უხერხულად დაიწყო წარწერის წაშლა.

— მომეცი!

ლუდამ ტილო ხელიდან გამოსტაცა და მარდად მიუსვ-მოუსვა.

— სიხარულმა დამაწერინა, — გაიმეორა ბიჭმა. — ყოველდღე ხომ არ გადადიხარ ახალ ბინაში, მინდოდა რაღაც განსაკუთრებული, ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ ყველას სიამოვნებოდა.

— გინდა დაგეხმარო? — შეეკითხა ლუდა.

— დამეხმარე!



თვითონაც გაუკვირდა ლუდას, საიდან გაუელვა ამ კეთილმა აზრმა გონებაში.

— რა გქვია?

— იგორი.

— მე კი, — ლუდა! იგორ, იცი რა გავაკეთოთ? დედაჩემმა მთხოვა გაიგე სად არის აქ აფთიაქი, სამრეცხაო და მაღაზიაო. ეს, ალბათ, ყველა მობინადრეს აინტერესებს. მოდი გავიგოთ და ვაცნობოთ ყველას. მერე კიდევ მოვიფიქრებთ რამეს, მთავარი დაწყებაა!

მეორე დღეს სადარბაზოსთან გაჩნდა განცხადება:

„პიონერებო! სასწრაფოდ გამოცხადდით ორმოცდამეერთე ბინაში!“ განცხადების ბოლოში კი ეწერა სამი ასო — „კმშ“.

ახალმოსახლეებს ბინებში, შესამჩნევ ადგილას დახვდათ საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ასეთი შინაარსის ფურცლები: „თუ თქვენ დაგჭირდებათ ცნობები საყოფაცხოვრებო საკითხებზე, მოგვმართეთ 41-ე ბინაში. მანამდე კი გაცნობებთ, რომ“ ...და ამას მოსდევდა უახლოესი მაღაზიების, აფთიაქის, სამრეცხაოს, და სხვადასხვა სახელოსნოების მისამართებისა და ნომრების გრძელი სია. მობინადრეების უმრავლესობამ მოიწონა და შეაქო უცნობი „კმშ“-ს წამოწყება, მაგრამ იყვნენ ისეთებიც...

კოლიას დედა, კეთილი, მაგრამ ბუზღუნა ქალი, მისამართებით აჭრელებულმა ფურცელმა გააბრაზა. იმუქრებოდა:

— რა უფლება ჰქონდათ მათ, შემოსულიყვნენ ჩვენს ბინაში?

— ვინ მათ? — მხიარულად შეეკითხა კოლკა და ფურცელში ჩაიხედა. „კმშ“ ეს სამი ასო დაწესებულების სახელწოდებაა. კოლიას დედას გაახსენდა ლიფტზე გაკრული განცხადება: „პიონერებო სასწრაფოდ ამა და ამ ადგილზე გამოცხადდითო“.

— შენ იყავი იმ დაწესებულებაში?

— როდის უნდა ვყოფილიყავი?

— გაიქეცი, თორემ შენი გულისთვის შეიძლება უსიამოვნებას გადაეყაროს ადამიანი, — უთხრა დედამ.

კოლკამაც დაუზარებლად გასწია 41-ე ბინისაკენ.

ნახევარი საათის შემდეგ საქმიანი იერით დაბრუნდა.

— დავალება მაქვს! — თქვა მან, —

ალბათ დამიგვიანდება! „კმშ“-ს წევრი ვარ.

კოლკა ისე გაიქცა, არ აუხსნა დედას, რას ნიშნავდა ეს სამი ასო, რა დაწესებულება იყო, რა დავალება მისცეს.

სახლთან მხიარული აურზაური იდგა. მოდიოდნენ საბარგო მანქანები, ახალმოსახლენი ფაციფუცობდნენ, გადმოჰქონდათ ტახტები, კარადები, სკამები... ავეჯის გროვა იზრდებოდა.

მარცხენა სადარბაზოსთან კაქტუსებისა და ფიკუსების მთელი ორანჟერეა გაიჭიმა. ქოთნებს შორის დასაკეც სკამზე მოხუცი ქალი იჯდა. ყვავილის ერთი ქოთანი აეტანა თავის ოთახში და ისვენებდა.

— ბები, მოგეხმაროთ? — ჰკითხა კოლიამ. — მე „კმშ“-ს წევრი ვარ.

— ყვავილებს თუ არ დაამტვრევ?

— რასა ბრძანებთ! როგორ თუ დავამტვრევ!

კოლიამ ხელი დასტაცა კაქტუსის ქოთანს.

— ვინ არის აქ კოლია სტრელცოვი? შენ? — მოესმა ზურგს უკან ბიჭის ხმა.

კოლია შემობრუნდა. მის წინ უცნობი ბიჭი იდგა.

— შენთან გამომგზავნეს დასახმარებლად. რა არის გასაკეთებელი?

— ჯერჯერობით ყვავილები უნდა ავიტანოთ! მოჰკიდე ხელი!

როცა ბიჭებმა „ორანჟერეა“ აიტანეს, მერე კიდევ ორ მოხუც პენსიონერს დაეხმარნენ. კოლკამ გადახედა მათს ავეჯს, შეფიქრიანდა.

— ვერ მოვერევით, — უთხრა თანაშემწეს, — გაიქეცი შტაბში, შეატყობინე.

მალე იგორი და ლუდა მოვიდნენ. მათ წითელი სამკლავეები ეკეთათ წარწერით „კმშ“. ლუდამ პენსიონერთა ბინის ნომერი გაიგო და მტკიცე ნაბიჯით კიბისაკენ გაემართა. ბიჭები უკან მიჰყვნენ.

ეს იყო პირველი ზარი, რომელიც მოულოდნელად გაისმა იმ ბინაში და საბავშვო ეტლში ატირებული პატარა ტყუპები ჩააჩუმა. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედეს, ხელი უშვეს სარკიან კარადას, რომელსაც ვინ იცის მერამდენედ შეუცვალეს ადგილი ოთახის სხვადასხვა კუთხეში და კარისაკენ ერთად გასწიეს.



— მართალი გითხრა, — თქვა ქმარმა და ჩაახველა, — დღეს სტუმარი... არც თუ ისე სასურველია.

ცოლმა ხელები გაშალა.

— რას იზამ, გააღე.

კართან ლუდა, იგორი და კოლია იდგნენ.

— კეთილი მეზობლები გეყოლებათ, ორი პენსიონერი, — უთხრა ლუდამ. — ავეჯის ამოტანაში ხომ არ მიეხმარებით?

— იცით რა? ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს... დღევანდელი დღე, მოგეხსენებათ, განსაკუთრებულია...

— დღეც განსაკუთრებულია და სახლიც, — წამოიძახა გოგონამ, — ამ სახლში ყველამ მეგობრულად უნდა ვიცხოვროთ. დღეს თქვენ მიეხმარებით მეზობლებს, ხვალ კი ისინი თქვენს ბავშვებს მიხედავენ, როცა თეატრში წასვლას დააპირებთ.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედეს, გაეღიმათ.

— კარგი, დავეხმარებით... ოღონდ... ამათ რა ვუყოთ? — ეტლში გასუსულ პატარებს გადახედა ქალმა...

— კოლია, შენ დარჩები და პატარებს მიხედავ! — უბრძანა ლუდამ ამხანაგს, შემდეგ კი მასპინძლებს მიუბრუნდა, — ჩვენ „კმშ“-ს შტაბიდან ვართ. ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნება.

* * *

ორმოცდამეერთე ბინის წინ კიბესთან ბავშვები შეგროვილიყვნენ. კარზე ოთხკუთხედი პატარა მუყაო ეკიდა, რომელსაც ეწერა: „კეთილმომსახურების შტაბი“. ეტყობოდა ბინაში არავინ იყო, მაგრამ პიონერები წასვლას არ ჩქარობდნენ.

ბოლოს ლიფტის კარიც გაიღო. გამოჩნდნენ ლუდა და იგორი. — გამარჯობათ ბავშვებო! — ძველი ნაცნობებივით მოიკითხა ლუდამ, — კარგია რომ მოხვედით. ახლა დავსხდეთ და მოვიფიქროთ კიდევ რა სიკეთის გაკეთება შეუძლია ჩვენს შტაბს.

თარგმნა ზორა გაგელიამ.




მაკრატლის ხშირი ხმარებისას ხელზე კოჟრები ჩნდება ხოლმე. თუ გინდა ეს თავიდან აიცილო, გირჩევთ, მაკრატლის რგოლებს საიზოლაციო ლენტი ან ლეიკოპლასტირი შემოახვიო.



მინის კოლბას ტუჩი რომ გაუკეთო, არ არის აუცილებელი მინამბერი ოსტატი იყო. ჭურჭელს თავი ნელნელა გაუვარვარე, შემდეგ პირზე რაიმე ჩანგალი მოსდე და მოქაჩე. ჭურჭელი რომ გაცივდება სატუჩე მზად იქნება.



გამოცდილი მღებავი ვერტიკალურად მდებარე საგანს არასოდეს არ შეღებავს ფუნჯით. მან იცის — საღებავი ძირს წვეთავს და დიდი ნაწილი ტყუილ-უბრალოდ იკარგება. ამიტომ კარგია, თუ ამ მიზნისათვის ნაბადდახვეულ გორგოლაჭს იხმარ. იგი საღებავსაც დაზოგავს და შესაღებ ზედაპირსაც უფრო კარგად დაფარავს.



ნუ დაიზარებ და ფარდულის კარს, ან ეზოს ჭიშკარს ასეთი ფორმის, გრძელი, რკინის კილო დაადე. ნახავ, თუ კმაყოფილი არ იქნები!



ქანჩები და ლითონის რგოლები ზომისა და ფორმის მიხედვით შეგიძლია ასე განალაგო. დაფანტვითაც არ დაიფანტება და, რაც მთავარია, როცა დაგჭირდება თვალწინ გექნება.



თუ გსურს ნემსები, პატარა ბურღები ან ქინძისთავები არ დაიფანტოს, გირჩევთ ასე შეინახო.



## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


მ. აბრამიშვილი — ჩემი საქართველო (ლექსი) გარეკ. . . . . . . . . . . . . . 2
ქ. ჭილაშვილი—ლენინური ორწლედის გზებზე (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . 1
ე. სირმუსი —- ჩემი შეხვედრა ლენინთან (მოგონება) 4
ლ. გვაზავა-სანაძე — ჩრდილოეთის ციალი (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . . . . . . . 6
მ. ფოცხიშვილი — საქართველო (ლექსი) . . . . . 13
მ. ლებანიძე — რამდენი ჯაფა სჭირდება, რამდენი ოფლი ჯაგანს, რომელიც პაპამ შილდიდან ჩამოუტანა გაგას . . . . . . . . . 14
ს. კინწურაშვილი — საბჭოთა არქიტექტურა (წერილი) . . . . . . . . . . . . . 16
ი. გვოზდევი — მწვანე ჯოჯოხეთის ბინადარნი (წერილი) . . . . . . . . . . 19
ი. უზნაძე — ამღერებული ლითონი (წერილი) . . 22
როცა მეგობრები ჩხუბობენ (ზღაპარი, თარგმნა, ნ. გუჯაბიძემ) . . . . . . . . . . 24
ა. ვლასოვი,
ა. მლოდიკი — ახალი სახლი (მოთხრობა. თარგმნა ზ. გაბელიამ) . . . . . . . . . . 26
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . . . 27
თ ა მ ა შ ო ბ ე ბ ი . . . . . . . . . . 30
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . . . . . 31
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . გარეკან. III გვ.


გარეკანის პირველ გვერდზე — „კალათბურთი". მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.


მთავარი რედაქტორი გაგულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/I-70 წ. ქაღალდის ფორმატი $60\times90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 2774. ტირ. 101.700. უე 00616.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



## თავსატეხი

საჭადრაკო მხედრის სვლით, უჯრედებში ჩაწერილი ასოებით წაიკითხე დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებთა სათაურები.

გორის რაიონის, სოფელ მეჯვრისხევის საშ. სკოლის მოსწავლე ოთარ მირზაშვილი.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ი | ჰ | ა | ზ | ტ | მ | ი |
| ა | ს | ე | მ | ე | რ | ა | კ |
| ნ | ჩ | ფ | ი | ბ | ა | ს | ა |
| ი | მ | ♘ | რ | ი | დ | ვ | დ |
| ი | რ | ჯ | ე | ქ | რ | ლ | კ |
| თ | ნ | ე | ქ | თ | მ | ი | ა |
| რ | ნ | შ | წ | მ | რ | ი | ო |
| ი | ა | ა | ა | ე | მ | ს | ი |

## ხ ე ლ ი ს ა უ ღ ე ბ ლ ა დ

შემოხაზე ეს ფიგურა ხელის აუღებლად, ისე, რომ ერთ ადგილას ხაზი ორჯერ არ გაატარო.

ოჩამჩირის რკ. მე-15 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე ბესიკ შანავა.



## ნ ა ხ ა ზ ი — ი ლ უ ზ ი ა

ეს ნახაზი — ილუზიაა. გეჩვენება, რომ შენს წინ რაღაც რეალური საგანია, ჩარხით, ხერხით ან შალაშინით გაკეთებული. მწარედ ტყუვდებით!

ამ საგნის მთლიანობის ილუზია მისი სიგრძის გამო იქმნება. საინტერესო შედეგს მიიღებთ, თუ ნახაზს ხელის გულს დაადებთ და ხელს თანდათან ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ გაასცურებთ. ბოლოს კი — მარცხნიდან მარჯვნივ. პირველ შემთხვევაში დაინახავთ ასო „ო"-ს, მეორე შემთხვევაში სამ მრგვალ ღერს, მაგრამ ძალზე გაგიჭირდებათ შემჩნევა როდის გადადის ერთი მეორეში.

ასევე უცნაურ ილუზიას ქმნის მეორე ნახაზიც.



## გადააადგილეთ მხედრები




საჭადრაკო მხედრებს ადგილები შეუცვალეთ ისე, რომ თეთრი მხედრების ადგილი შავებმა დაიკაონ, შავებისა კი თეთრებმა. ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ სხვადასხვა ფერის ფიგურები ერთმანეთის დარტყმის ქვეშ არ უნდა მოხვდნენ. რამდენი სვლა დასჭირდება მხედრების ადგილზე მიყვანას უმოკლესი გზით.

## პ ა ს უ ხ ი № 1-შ ი მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ზ ე

### ა ნ ბ ა ნ უ რ ი ჩ ა ი ნ ვ ო რ დ ი

ა — ახო; ბ — ბაბი; გ — გემი; დ — დარსე; ე — ერარი; ვ — ვერდი; ზ — ზაზუნა; თ — თემიდა; ი — იერიში; კ — კომუნა; ლ — ლევანი; მ — მირაბო; ნ — ნალარა; ო — ორმუსი; პ — პრემია; ჟ — ჟრუნი; რ — რურუა; ს — სილფი; ტ — ტაშეკე; უ — უკბილო; ფ — ფარეში; ქ — ქედანი; ღ — ღამურა; ყ — ყავარი; შ — შტორმი; ჩ — ჩხიკვი; ც — ცერცვი; ძ — ძროხა; წ — წალკა; ჭ — ჭვავი; ხ — ხობი; ჯ — ჯიქი; ჰ — ჰეი!

### გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი

1. არქიმედი; 2. დრაიზერი; 3. სტეინიცი; 4. სტენდალი; 5. გაგარინი; 6. რენტგენი; 7. იუვენალი; 8. წერეთელი; 9. კიპლინგი; 10. ჟუკოვსკი; 11. კრომველი; 12. ლონგფელო; 13. ოფენბახი; 14. მაგელანი; 15. ლინკოლნი; 16. ლოდიგინი; 17. პითაგორა; 18. ლავუაზიე; 19. კუტუზოვი; 20. ბისმარკი; 21. პისემსკი; 22. პაგანინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამჯერად ჩვენი სტუმარია საქართველოს დამსახურებული იურისტი თამარ ხოშტარია-ცაგურია.**

ერისთავ-ხოშტარიას ქუჩაზე ყოველდღე ტანმაღალი, წარმოსადეგი მანდილოსანი აივლ-ჩაივლის, მთლად თეთრ-სპეტაკი, მადლიანი, სახეკეთილი. ყველა ამუბნელი იცნობს, იციან, რომელ სახლში ცხოვრობს, ვისი შვილია.

მარტო კარგი დედ-მამის შვილობით როდი იცნობენ თამარ ხოშტარია-ცაგურიას.

ბევრი საქმის მტვირთველი ყოფილა, რიგითისა, ჩვეულებრივისა კი არა, — საქვეყნოსი, საზოგადოსი, ისეთისა, რომელთანაც მხოლოდ წმინდა, უანგარო გულით უნდა მიხვიდე.

და სწორედ რომ ასეც მოქცეულა. სამართალთან და კანონმდებლობებ-

ფოტო
ა. სააკოვისა

# სამართლის ფუძეზე